საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 215 შაბათი, აპრილის 7 (20) 1918 წ. № 215

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანე., 20×2 ღირს 12 მან., 5 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. [illegible] „ნადიკვარი“) ბარიატინის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

ბრძოლაში მოჰკლეს ამხანაგი გიორგი ჭუბაბრია.—სეიმის ფრაქციათა თათბირი სამშვიდობო დელეგაციის განცხადების გამო გრძელდება.—ყარსიდან 60.000 ლტოლვილი ბერძენი მოდის ტფილისისკენ.—ზე-კარის გადასავალი ოსმალოებმა აიღეს.—ბათომის მხარეს მდინარე ოჩხამურის ნაპირას ოსმალოებმა ჩვენს რაზმს დაასხეს.

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

მწუხარებაში მყოფი მეუღლე სპირიდონ გლახუას ძე, შვილები: ნიკიტა, პავლე, გიორგი, ანასტასია, რძალი ეკატერინე მაქსიმეს ასული და შვილის-შვილი ქორქუკა ჩიტაიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხვალ, 8 აპრილს 12 საათზე ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაში ექვსი თვის სიკვდილის შემდეგ გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

პელაგია მახუას ასულის ჩიტაიას

[illegible]

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტ ური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 6 აპრილს გაიმართება

იუმ რისტული წარმოდგენა

მონაწილეობს ყველა არტისტი ალვინასი, ქაკი, ვინჩენკო, ვლადიმიროვი, „მფრინავი ადამიანები“ და -კაზო და სხვები. დღეს იქნება „ცხენების ჯირითი“, კომ ური ინტერმეცო“ და სხვ.

ანონსი: კვირას 8 აპრილ გაიმართება 2 წარმოდგენა, დღით 1 ს. დაკლებულ ფასებში, მზადდება გ ისათხოვარი ბენეფისი იაპონელი დასისა.

დასაწყისი ს. დასასრული 11 ს. 405

დილ , წარმოდგენა.

ქართ ლი კლუბი

კვირას, 8 აპრილს, მსახიობი ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება ვ. აბ იძის, ცაცა ამირეჯიბის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით პირველად ფილისის სცენაზე **შალვა დადიანის პიესა**

გუშ ნდელნი

3 მოქმედებად.

მონაწ ეობს მთელი დასი.

დასაწყისი შუადღის 12 საა ზე. 1071 ბილეთები იყიდება.

ტფილისის ქართვ ლ ვაჭართა და მრეწველთა ალმასრ ულებელი კომიტეტი

უკანასკნელად მოაგონებს ბზ ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახე მხოლოდ ერთდროული გადასახადის უწყებები, დ უყოვნებლივ შეიტანონ მ ზე ფული გაწერილი, ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაუბარ ია, ვალდებულია მოიკითხონ ასეთი კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პროსპ ტი, № 5, ა. ბერელაშვილის ღვინის საწყობი) დილის 10 საათიდან 12 საათ მდე.

ფული ყველა ქართველ ვაჭარზეა გაწერილი და უწყების მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნე პასუხისმგებლობისაგან.

ვინც ერთი კვირის გან ვლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელ და გვარი გაზეთში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული ესაფერი ზომები.

1107 ალმასრულებელი კომიტეტი

შაქარი

ახლად დანიშნულია მე- სერიის სასურსათო ბარათების (შაქრის, ნავთის და სხვ.) მიცემა აპრილის, მაისის და ივნისისათვის. ბარათები მხოლო სახლის კომიტეტებს მიეცემა.

მოქალაქეებს, რომელთ ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები, უნდა დააჩქარონ მათი არჩევა ვისაც არ აქვს მოწყობილი სახლის კომიტეტი. მას არ მიეცემა ბარათები. ყველა საჭირო ცნობა და ინსტრუქცია, სახლის კომიტეტის მოსაწყობად უ ა მიიღონ სასურსათო საუბნო კომიტეტებში.

1126 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

ღვინის ვაჭართა (ბაღის მფლობელთა) კავშირის გამგეობა

სთხოვს კავშირის წევრებს მობრძანდნენ საზოგადო კრებაზე, რომელიც გაიმართება 8 აპრილს, დილის 11 ს., ხელოსანთა კლუბის საზაფხულო შენობაში (მიხეილის პროსპექტი)

განსახილველია:

1) ანგარიში გამგეობის მოქმედების შესახებ 1917 წ.
2) ღვინის ვაჭრობის გახსნის წესი.
3) მიმდინარე საქმეები.

403 გამგეობის თავმჯდომარე ვ. მარქაროვი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების

საოპერაციო ბიურო

(ტფილისი, ბარიატინის ქ. № 5; დეპეშით: იკოხ)

მეურნეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ის ბაზრის ფასზე უფრო იაფად ჰყიდის ბოსტნეულობის და ბალახეულობის თესლებს, გოგირდს, ცელს, ნამგალს, სხვა და სხვა სამეურნეო იარაღს, ლურსმანს, „ვედროს“, ყოველნაირ რკინას, ნალს (ლუმბს) და სხვ.

უკვალოდ დაკარგული

12 თებერვლიდან წასულია სავაჭროდ ქ. ტფილისში **გიორგი გუსარის ძე ჩიქობავა** და უკვალოდ დაკარგულია ნათესავები თხოულობენ თუ ვინმემ რამე იცის აცნობონ ქ. ახალ-სენაკში საკუთარ სახლში ძმას აქსენტი გუსარის ძე ჩიქობავას. 404

ტფილისი, 7 აპრილი 1918 წ.

პური და ნავთი. მიმოსვლის სრული დეზორგანიზაციისა და არევ-დარევის გამო ამიერკავკასიას პურისა და ნავთის შემოსაზიდად მხოლოდ ორი გზა დარჩა: საქართველოს სამხედრო გზა პურისათვის და ამიერკავკასიის რკინის გზა—ნავთისთვის. პური და ნავთი ისეთი პროდუქტებია, ურომლისოდაც არამც თუ ომის წარმოება, ერთი დღით არსებობაც კი არ შეუძლიან ამიერკავკასიას. სამხედრო გზით ჯერ-ჯერობით მოდის პური. ასე თუ ისე წესიერი მიმოსვლა აღდგენილია, თუმცა ტრანსპორტების საქმე კარგად არ არის მოწყობილი. ამიერკავკასიის რკინის გზა კი, ბაქოში უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბების გამო, უკვე დაკარგულია ჩვენთვის, როგორც ნავთის შემომტანი გზა, თუ მდგომარეობა არსებითად არ შეიცვალა და ბაქოსა და ტფილისს შუა წესიერი მიმოსვლა არ დამყარდა. ამ ჟამად, რამდენადაც კი შეიძლება დამყარება ბაქოს მხრიდან მოსული უკანასკნელ ცნობებზე, ერთი-მეორის წინააღმდეგ სდგას ორი მოპირდაპირე ძალა. ბაქოში გაბატონებული არიან ბოლშევიკები, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ამიერკავკასიის ერთა უმრავლესობას აღარა ჰსურს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდეს, აღარა ჰსურს კვლავ იმ სახელმწიფოს მონად დარჩეს, რომელმაც უდიდესი განსაცდელის დროს ამიერკავკასიის ერებს უღალატა და კავკასიის დაცვაზე თავისი საკუთარი სურვილით ხელი აიღო. ბაქოს გარშემო კი გროვდება დიდი ძალა მაჰმადიანებისა—ერთის მხრით დაღესტნელები, მეორეს მხრით ამიერკავკასიის მაჰმადიანები. ამნაირად გარს შემორტყმული ბაქო მოწყვეტილია მთელს ამიერკავკასიას და, მაშასადამე, ჩვენც ყოველივე საშუალება გვეკარგება მუდმივი და წესიერი დამოკიდებულების დაჭერით ბაქოსგან მივიღოთ ნავთი, მაზუთი და ყველაფერი ის, რაც ასე საჭიროა როგორც ყოველ-დღიური ცხოვრებისთვის, ისე რკინის გზის მოძრაობისთვის. თუ ახლანდელი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, თუ ბაქო კიდევ დიდხანს დარჩა ალყა-შემორტყმული, რკინის გზის მოძრაობა შეჩერდება და მაშინ არამც თუ ომის წარმოებას, უბრალო არსებობასაც კი ველარ მოვახერხებთ.

საომარი მდგომარეობა უფრო ართულებს საქმეს: თითქმის მთელი გზა ტფილისიდან ბაქომდე მაჰმადიანთა შეიარაღებული ელემენტების ზედგავლენის ქვეშ არის. თუ ამიერკავკასიის მაჰმადიანები უარყოფით შეჰხვდნენ ომს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთს დღეში სრულიად მოისპობა მოძრაობა და ეს კი ისეთი კატასტროფა იქნება, რომლის ლიკვიდაციასაც ველარავითარი ძალა ვერ მოახერხებს. ასეთსავე მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს დარიალის ხეობა, საიდანაც პური მოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ინგუშებს მეგობრული განწყობილება აქვთ ქართველებთან. არის უტყუარი, დოკუმენტალური საბუთები იმისა, რომ მხოლოდ ინგუშების წყალობით იგზავნება პური ჩვენსკენ და იგზავნება არა ამიერკავკასიის მთავრობის სახელით, არამედ საქართველოს ეროვნული საბჭოს ავტორიტეტის წყალობით. პურს ქართველებს აძლევენ და არა ამიერკავკასიის მთავრობას- ამის საბუთები არის. ჩვენ არ ვიცით, როგორ დატრიალდება საქმე მაშინ, როდესაც საომარი მოქმედება გაგრძელდება. მაგრამ ერთი კი თამამად შეიძლება ითქვას: თუ უკანასკნელი გზაც დაიხშო ჩვენთვის, მაშინ ტფილისი ორ დღეში აფეთქდება, რადგანაც ჯერ-ჯერობით ჩვენს ქვეყანას ვერ შეუძლიან ჰკვებოს თავისი პურით ის კეთილი სტუმრები, რომლებიც ჩრდილოეთიდან შემოგვესიხნენ და ეხლა კურსკის ბულბულებით ათასნაირი სიმღერებით აბრუებენ ჩვენს პოლიტიკურს ატმოსფერას.

ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ იმათ, ვისაც აწევია კისერზე მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისა და პოლიტიკის წარმოებისა.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მტრები

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყავს; ყველაზე დიდი და სასტიკი მტერი ამ დამოუკიდებლობისა არიან—რუსის ის მოხელენი, რომელნიც, მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციის შეცვლისა, ისევ სხედან რუსეთის ყოფილ სახელმწიფოების მიერ ბიუროკრატიულ კანცელარიებში მათ არ ეკარგებათ იმედი, რომ დაჰკრავს კიდევ ჟამი, ჟამი კონტრ-რევოლუციისა და მაშინ კვლავ რუსული ნაციონალისტური დროშა აფრიალდება იქ, სადაც ეხლა რევოლუციისა და თავისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. ჩვენი მთავრობაც რაღაც ბეცური ინერციით, პოლიტიკური სიმხდალის გამო, ერთს წერტილზე გაყინულა და ველარ მოუხერხებია ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა გადასცეს იმათ, ვინც ბუნებრივი მემკვიდრეა ამიერკავკასიისა—ერებს. ჩვენ გვგონია, რომ დროა ამ ფუქსავატსა და ჩვენი ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას ბოლო მოეღოს. დროა ჩვენი ქვეყანა ხელიდან გამოვგლიჯოთ რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელ ადეპტებს, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩინოვნიკებს და გადავცეთ მართვა-გამგეობა იმათ, ვისაც მიზნად აქვს დასახული განმტკიცება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა. დროა შინაურმაც და გარეშემაც გაიგოს, რომ მას შემდეგ, რაც რუსის ჯარმა დასტოვა ჩვენი ფრონტი და გაჭირების დროს გვიღალატა, მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ ჩვენს დაუკითხავად საუკეთესო ნაწილი ჩვენი კუთხისა ოსმალეთს დაუთმო და ამით მას კანონიერი გზა გაუხსნა ჩვენი ოლქების დასაპყრობად, მას შემდეგ, რაც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბოლშევიკები მაინც თავისას არ იშლიან და ჰსურთ ამ მოღალატეობის შემდეგ ისევ ჩვენს ქვეყანას დააწვნენ საჯიჯგნელად და დასამონავებლად,—ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ აღარავითარი უფლება არა გვაქვს კვლავ ილიუზიებით ვიკვებოთ თავი და კვლავ გადაუწყვეტელი დავსტოვოთ საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა. დაე გაიგოს ყველამ, დაე მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ რუსეთმა გაგვყიდა და ეხლა მუხანათურად გვესხმის ზურგიდან, გვესხმის მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ გასასწორებელი საქმე გვაქვს ოსმალეთთან; გაიგოს ყველამ, რომ ჩვენ ყოველივე კავშირსა ვსწყვეტავთ რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან, რომ ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყოთ, დამოუკიდებელნი, რომ ჩვენ გვინდა ჩვენს თავს ჩვენ თითონვე მოუაროთ და ან გავსწყდეთ ყველანი ერთად ან დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამიერკავკასიის ერთა შორის აუცილებლად უნდა დამყარდეს ძმური და სოლიდარული ურთიერთობა. ქართველებმა, თათრებმა, სომხებმა და ყველამ, ვინც ჩვენთან ყოფნას მოისურვებს, უნდა ძმურად გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი და ისეთი სახელმწიფო შევქმნათ, რომელიც ამიერკავკასიის ერთა ძმურ თანამშრომლობას შესაძლებლად გახდის. ასეთი სახელმწიფო კი მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც ამიერკავკასია დამოუკიდებელი იქნება. ამიერკავკასიის ერთა დემოკრატია მაშინ ძმურს ხელს გაუწოდებს ერთმანეთს, გაქრება სიძნელე ერთმანეთის გაგებისა და მტრობისა და შუღლის ნაცვლად ჩაეყრება საფუძველი ამიერკავკასიის ერთა დემოკრატიის სოლიდარობასა და თანამშრომლობას საერთო კულტურული ცხოვრების მოსაწყობად.

მაგრამ ამ იდეალს, ამ შესაძლებლობას კავშირისას ყვავით დასჩხავიან თავს ერთის მხრით რუსეთის იმპერიალისტები, მეორეს მხრით ოსმალეთის იმპერიალისტები. მაგრამ მათ შორის მაინც არის ერთგვარი განსხვავება. ოსმალეთი და გერმანია უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, ვიდრე რუსეთი. რუსეთს ხელიდან არ უნდა გაუშვას ის, რაც მომავალში მას საწველ ფურად გამოადგება. ოსმალეთს კი, კიდეც რომ უნდოდეს, დიდი იმედი არა აქვს, რომ ამიერკავკასიას ადვილად დაიპყრობს და მით უფრო საბოლოოდ შეინარჩუნებს. ამიტომ ჩვენი ერთად ერთი პასუხი შეიძლება იყოს; შორს ჩვენგან ხელები ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიალისტებისა. ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ამ თავისუფლებისთვის. ჩვენი მტერი იქნება ყველა, ვინც ჩვენი თავისუფლების შეზღუდვას მოისურვებს, ხოლო მეგობრად მხოლოდ იმას დავსახავთ, ვინც თავს არ გვესხმის და ჩვენი თავისუფლების დაღუპვა არა ჰსურს. ასეთია ერთად ერთი ჩვენი გზა, გზა ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლებისა მონობისაგან.

არ. ჯაჯანაშვილი

ნუ სტყუვდებით

ოსმალეთის იმპერიალისტურმა მოთხოვნილებამ ბათომისა, არტაანისა და ყარსის ოლქებისა ზოგიერთ ჩვენ პოლიტიკურ მიმართულებათ რუსეთის ბოლშევიკებისაკენ მიაპყრევინათ თვალი და მათთან კავშირის სურვილი აღუძრათ. ზოგი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს წმინდა წყლის რუსულ იმპერიალისტურ სულისკვეთებით, ზოგს კი გულწრფელად ჰგონია, რომ მართლადაც მხოლოდ ბოლშევიკების დახმარებით შეიძლება ამიერკავკასიის ხსნა ოსმალეთის შემოსევისაგან და ბათომ-ყარსის დაბრუნება. პირველ ჯგუფს შეადგენენ ამიერკავკასიაში მცხოვრებნი ყველა რუსები, დაწყებული ყოფილ შავრაზმელებით, რომელნიც ეხლა შეერთებულ კომიტეტის სახელით გამოდიან, და კადეტებით და გათავებული სოციალისტ-რევოლიუციონერებით და ბოლშევიკებით. თუ ბოლშევიკების შესახებ შეიძლება იფიქროთ, რომ მათ იდეურად სურთ განახორციელონ საბჭოთა მთავრობა ამიერკავკასიაში, აქაური ეს-ერების შესახებ (სახეში მყავს რუსი-ესერები) ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ კარგათ გვახსოვს მათი მოღვაწეობა გასული წლის ოქტომბრიდან იანვრამდე ე. ი. იმ დროს, როდესაც რუსეთში ბოლშევიკურ მთავრობის განმტკიცებისათვის იყო ბრძოლა. პირველად ამიერკავკასიის ჩამოშორებისა და ცალკე მთავრობის შედგენის შესახებ კავკასიის ცენტრში საკითხი აქაურ სოც.-რევ. ერთ-ერთ ლიდერთაგანმა დ. დონსკოიმ აღძრა; სოც.-რევოლ. ცენტრალურ კომიტეტის წევრმა და პარტიის ერთ-ერთ იდეურ ხელმძღვანელმა ე. ლუნკევიჩმა, დიდი სიტყვა წარმოსთქვა ასეთ ჩამოშორების შესახებ და მრავალი არგუმენტი მოიყვანა იმის გამო, თუ როგორ მავნებელი იქნება მთელი რუსეთისათვის და კერძოთ ამიერკავკასიისათვის ბოლშევიკების გაბატონება, ერთმა სოც.-რევოლიუციონერმა ისიც კი სთქვა, რომ ჩვენ ტერორითაც შევებრძოლებით ბოლშევიკების მთავრობასაო. გაიხსენეთ სოც.-რევ. მერხალიოვის სიტყვა ცნობილ სხდომაზე ქალაქის საბჭოისა, სადაც მან ბოლშევიკებს გერმანელებისაგან მოყიდულები უწოდა, და მაშინ ნათლად წარმოგიდგებათ, თუ რით აიხსნება სოც.-რევოლიუციონერებში ესეთი სიმპატია ამ ბოლო დროს ბოლ

შეეკებიანამი. რა თქმა უნდა, არა მათი იდეიური თანაგრძნობით. არა, აქ სულ სხვაშია საქმე, სოც.-რევ. ისე როგორც აქაური კადეტები და შავრაზმელები, ხედავენ, რომ არსებითად ეხლა ბოლშევიკების მთავრობა აერთიანებს დაქსაქსულ რუსეთს და სწორედ მას შეუძლიან ამ ჟამად რუსეთს ჩამოშორებული ამიერკავკასია, სადაც სურვილი დამოუკიდებელ ცხოვრებისა განმტკიცდა, რუსეთს კვლავ დაუბრუნოს.

რუსის ჩინოვნიკები, შავრაზმელები ლიბერალები ან ეს-ერები, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს შავრაზმულ „გადმოსახლებულთა მართველობაში“ (переселенческ. управленіе) შესძლოდ სცნობდნენ მოღვაწეობას, ეხლა შეერთდნენ, რათა არ დაჰკარგონ თავისი ბატონობა ამიერკავკასიაში, რომლის ერმა გამოღვიძეს და დაინახეს, რომ კავკასიის ხსნა მის დამოუკიდებლობაშია.

ჩვენ გვესმის მათი იმპერიალისტური სულისკვეთება და სურვილი ბოლშევიკების მოპატრონეებისა ამიერკავკასიაში, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია იმ ჯგუფების აზრის შეცვლა, რამდენიც სულ უკანასკნელამდე ამიერკავკასიის ორიენტაციაზე იდგნენ. სახეში მყავს უმთავრესად ჩვენი სოციალდემოკრატები. მათ გადასწყვიტეს კიდეც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საჭიროება, ამგვარი წინადადება სეიმშიაც შეიტანეს. ისინი სასტიკად ებრძოდნენ ბოლშევიკებს ჩვენში და ამ ბოლო დროს ფრონტის შეცვლა და რუსეთის დემოკრატიისაკენ მიმართვა ცოტა არ იყოს გასაკვირია. არსებითად რუსეთის დემოკრატიისაკენ მიმართვა—ეს ბოლშევიკებისაკენ მიმართვაა, ვინაიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმეტესობა რუსეთის დემოკრატიისა ბოლშევიკების ბაირაღ ქვეშ სდგას, ყოველ შემთხვევაში, დარაზმული დემოკრატია მხოლოდ ამ ხელშია; დანარჩენნი დაქსაქსული არიან და თითქმის სიტყვის, ბეჭდვისა და კრების თავისუფლებასაც არიან მოკლებულნი. რა თქმა უნდა ამ უკანასკნელთ, რომელთაც თავისუფლად ვერ შეკრებილან [illegible] გამოდგებიან. კავკასიისათვის არა სცხელა, თვითონ ძლივს ღაფავენ სულს რუსეთში. განა სიმპტომატიური არ არის, რომ ისეთი ლიდერები რუსეთის დემოკრატიისა, როგორიც არიან წერეთელი, ვოიტინსკი, ვოლსკი, შრეიდერი და სხვა, ჩვენში იფარავენ თავი ბოლშევიკებისაგან. მათ აბა რა დახმარება უნდა აღმოგვიჩინონ! ცხადია ბოლშევიკებზედ არის ლაპარაკი, იმ ბოლშევიკებზე, რომელთა ანტიდემოკრატიულ და ანტისოციალურ მოღვაწეობის შესახებ ყველაზედ უფრო მჭერმეტყველურად ჩვენი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები სწერდენ და ლაპარაკობდნენ. გამოდის, რომ ის პარტია, რომლის გაბატონებამ რუსეთში, მოახდინა რუსეთის სრული განადგურება და დღემდის მათ შემოსვლას ჩვენში ყოველ ღონისძიებით ვებრძოდით, ეხლა ჩვენთვის სასარგებლო შეიქნა. რით აიხსნება ეს? ბოლშევიკების მოქმედების შეცვლით? მაგრამ განა ბოლშევიკები რუსეთში ეხლაც ისე არ იქცევიან, როგორც ამ ნახევარიწლის წინად? განა რუსეთში ეხლა არის თავისუფლება სიტყვისა და კრებისა, ან ბეჭდვისა? განა კვლავ არ იხვრიტებიან საბჭოთა მთავრობების მიერ ყველა მათი იდეური არა თანამგრძნობნი? გაიხსენეთ, რასტოვის და სევასტოპოლის ამბები. თმა ყალყზე დადგება, როდესაც ყველა იმას მოიგონებთ; მოიგონებთ, თუ როგორ ათასობით იქნენ დახვრეტილი და დახოცილი სტუდენტები, ოფიცრები, ინტელიგენტები, ბავშვებიც ბოლშევიკების მიერ. ან სად დააწესეს ბოლშევიკებმა წესრიგი და ცხოვრება თავის კალაპოტში ჩააყენეს? ყველგან მათი მოქმედების შედეგი არის—სრული შეჩერება კულტურულ ცხოვრებისა, მოსპობა წარმოებისა, გაბატონება ხულიგანთა ბრბოებისა და სხვა. ყველა ეს ჩვენ უნდა ვიგემოთ ეხლა ნებაყოფლობით, როდესაც ნახევარი წლის განმავლობაში ძალით ვერ გვაიძულეს მისი მიღება?

მერმე შეუძლიათ განა რაიმე დახმარების აღმოჩენა ბოლშევიკებს ჩვენდამი?

ლენინ-ტროცკის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულობის ძალით ბათომ-არტაან-ყარსი თავისი ოლქებით უნდა იქნეს დაცლილი რუსეთის ჯარისაგან და შემდეგ მოხდეს მათი თვითგამორკვევა, ჩვენ კი არა გვსურს ეს ხელშეკრულობა ავასრულოთ, ვინაიდან ამიერკავკასიას მის დადებაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ გვსურს ყარსისა და ბათომის შერჩენა და ამისათვის ვიბრძვით ოსმალეთის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა ეხლა ან უნდა დაარღვიონ ბრესტის ხელშეკრულება ჩვენი გულისათვის ანდა დახმარების აღმოჩენაზე უარი სთქვან. რომ ბოლშევიკები ბრესტის ხელშეკრულობაზე მტკიცედ სდგანან, ეს იმ ოფიციალურ მიმართვიდანაც ნათლად ჩანს, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინეთ იყო გამოქვეყნებული ბოლშევიკების მთავრობის მიერ გერმანიისათვის ყარსის ოლქის ნაწილის დაცლის დროს სომხების ამოჟლეტის შესახებ, ამ მიმართვაში ლენინის მთავრობა მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულობის დაცვას ოსმალეთ-გერმანიისაგან და განა წარმოსადგენია, რომ კავკასიის გულისათვის დაუძლურებულთ და ქანცმილეული რუსეთი კვლავ ჩაებას ომში? არა! ეს შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ეს რომ ასე ყოფილიყო, რომ ბოლშევიკებს სურვილი ჰქონდათ ბათომ-ყარსის შერჩენისა, მაშინ ხომ არც ბრესტის ხელშეკრულობას მოაწერდნენ ხელს და ჩვენ არ „გაგვყიდიდნენ“ როგორც სწერდა წინედ „ერთობა“ და რაც არსებითად მართალია ბოლშევიკების მთავრობას ჩვენი დახმარება არ შეუძლია, საუკეთესო შემთხვევაში შესაძლებელია რომელიმე „რესპუბლიკამ“ თავისნებით დაგვეხმაროს, მაგრამ ასეთ „დახმარებასაც გვაშოროს ღმერთმა, ვინაიდან ძალა—მათ არა აქვთ და დიდს დეზორგანიზაციას კი შეიტანს მათი დახმარება ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ფრონტს კი არ გაამაგრებს, არამედ უფრო დაასუსტებს. თავი გაანებეთ ილუზიებს, თავი დაანებეთ რუსეთის ბოლშევიკებს, მათგან შველას ნუ ელით, ეს მათ არც შეუძლიათ და არა სურთ. ნუ აყვებით ამიერკავკასიის რუს იმპერიალისტების ხმას, თითქოს ბოლშევიკებს ჩვენი დახმარება შეეძლოთ, ნუ მისცემით ზოგიერთთა პიპონიზს.

აწარმოვეთ დამოუკიდებელი და საკუთარი პოლიტიკა—ეს უფრო სწორ გზაზე გაგვიყვანს.

შ. მ.

პროტესტი ველურების მთავრობას

როგორც გამოირკვა, არმავირში ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ სამშობლოში მომავალი შემდეგი ახალგაზრდები: სტუდენტი კეზელი, ვარლამ საყვარელიძე, წულუკიძე, ვლ. მიქელაძე, ალ. ვაშაკიძე, სამნი ძმანი ჩემოვანოვები, ჩიქოვანი, მანსვეტაშვილი, კორძაია, ჟღენტი და ამირეჯიბი.

როგორცა სჩანს, რუსეთი ისეთ სახელმწიფოდ გადაიქცა, სადაც არავითარი გარანტია არ არსებობს პიროვნების ხელ უხლებლობისა. მთელს დედამიწის ზურგზე მეორე ასეთი სახელმწიფო აღარ მოიძებნება, აღარ მოიძებნება მეორე ისეთი სახელმწიფო, სადაც მიმავალ მგზავრებს ყაჩაღურად, ვერაგულად დაეცნენ, ამამენ, საიკვდილოდ გამზადებულებს თითონ ამოათხრევინეს საფლავი და მერე დახოცეს. მთელის ჩვენის არსებით პროტესტს ვაცხადებთ ახალგაზრდათა ვერაგულ დახვრეტის გამო, პროტესტს ვუცხადებთ არა მკვლელებს, რადგანაც ველურთა ბრბოს ჩვენ პროტესტის ღირსადაც არა ვსთვლით; პროტესტს ვუცხადებთ ამ ველურების, ბარბაროსების, სისხლის მსმელების მთავრობას, პროტესტს ვუცხადებთ იმ სახელმწიფოს, რომელსაც არა სურს დაიცვას და უზრუნველყოს სიცოცხლე ჩვენი ახალგაზრდობისა, რომელთაც ის ერთი დანაშაული მიუძღვით, რომ რუსეთში იყვნენ, ქართველები არიან შთამომავლობით და სამშობლოში ბრუნდებიან თვით სამშობლოსავე მოწოდებით. თუ ველურების ველურ მთავრობას ამის მეტი არაფერი შეუძლიათ მაშინ ისეთი გარდაუვალი კედელი უნდა აღიმართოს ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის, რომ იქიდან ნიავიც კი ვერ შემოვიდეს, თუ რუსეთში მოსახლე, შემთხვევით ჩარჩენილ ქართველებს, გამხეცებული ურდოები ყელის ჭრას დაუწყებენ, ჩვენ სათანადო პასუხი უნდა მოვუთხოვოთ მათ და ვაგრძნობინოთ, რომ დაუსჯელად ასეთი ველური საქციელი არავის ჩაუვლის. ამიერკავკასიის მთავრობა ვალდებულია კატეგორიულად მოსთხოვოს რუსეთის მთავრობას დასჯა იმ ველურთა ბრბოებისა, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ყმაწვილები. ამიერკავკასიის მთავრობა ვალდებულია დაიცვას ინტერესი იმ ქართველებისა, რომელნიც დღეს რუსეთის გაველურებული, გახულიგანებული ბრბოების საჯიჯგნად გამხდარან.

ქართული პრესა

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“ ასე არკვევს თავის ეხლანდელ პოზიციას:

მაგრამ შესაძლებელია სხვა გამოსავლელი გზაც. ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო ომის ფერხულში ჩვენ ვერ ვითამაშებთ გადამწყვეტ როლს. ვერ ვაწარმოებთ დამოუკიდებელ პოლიტიკას. ჩვენ უნდა მივემხროთ ან ერთს, ან მეორე კოალიციას. და ამიტომ შესაძლებელია **ჩვენ გერმანიის კოალიციაში ამოვყოთ თავი, თუ რასაკვირველია, გერმანია იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას. არავისათვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ გერმანია ოსმალეთს არ ჩაუგდებს ხელში ამიერკავკასიას,** არ მისცემს მას ისეთს მნიშვნელოვან საზღვაო ბაზას, როგორიც ბათომია. ამიტომ ჩვენ ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყვეთ და თუ საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვლება, ჩვენც ამის მიხედვით უნდა შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა ეს არ ნიშნავს ქანაობას და უპრინციპობას, პირიქით: ჩვენი მიზანია დემოკრატია, ხალხი გადავარჩინოთ განადგურებას და რაც ამაში ხელს შეგვიწყობს, ყველაფერი დასაშვები და მისაღებია“.

ჩვენ გვგონია, რომ, თუ მივიღეთ რეალური გარანტია იმისა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მიღებული და დადასტურებული იქნება გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ, თუ მივიღეთ რეალური გარანტია, უტყუარი თამასუქი იმისა, რომ გერმანია და მისი მოკავშირენი უზრუნველ ჰყოფენ ჩვენს დამოუკიდებლობას, —თუ ყოველივე ამის გარანტია მივიღეთ, მაშინ სულ სხვანაირად უნდა გადაწყდეს ომისა და ზავის საკითხი. რუსეთმა თავის თავს თითონ უშველა და ჩვენი ქვეყნის ხარჯით მშვიდობიანობა ჩამოაგდო ოსმალეთთანა და გერმანიასთან.

ჩვენც ეხლა ჩვენს თავს ჩვენ თითონვე უნდა ვუშველოთ და, თუ გამოირკვა, რომ გერმანია ოსმალეთი მშვიდობიანობის ჩამოგდებას კი არ აპირებს ჩვენთან, არამედ სრული დაპყრობა და განადგურება უნდა, ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ომის წარმოება კი მხოლოდ იმისთვის რომ რუსეთის ცოდვები ვზიდოთ, ჩვენს პატარა ქვეყანას ვერ შეუძლიან. ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ ომისა და ზავის საკითხი.

დასასრულ გაზეთი სრულიად სამართლიანად შენიშნავს:

„ერთი რამ კი მუდამ უნდა გვახსოვდეს რაც უნდა სუსტი ვიყოთ საერთაშორისო ფერხულში, საკუთარი შეიარაღებული ძალა მაინც გვჭირია. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენ ყველა მოქალაქეს შეიარაღებისაკენ. გულს ნუ გავიტეხს დროებითი დამარცხება. საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ შესაძლებელია საფრთხეს თავი დავახწიოთ, მხოლოდ ამისთვის საჭიროა ძალების მოკრება და ომისთვის მზადება. ვისაც ზავი სურს—ომისთვის უნდა ემზადოს—ეს ძველი ჭეშმარიტებაა, საუბედუროდ დღესაც ძალაში რჩება“.

საღამოს დეპეშა.

1918 წლის 6 აპრილი. 16 ს.

ზღვის სანაპიროებით. 5 აპრილს, საღამოს, მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს მოდარაჯე რაზმზე, რომელიც რკინის გზის ხიდის წინ იდგა მდ. ოჩხამურის ნაპირას. რაზმს ჩვენი არტილერია ეხმარებოდა. ხანგრძლივი ბრძოლის და წინააღმდეგობის შემდეგ, რაზმი იძულებული იყო ბრძოლით დაეხია უკან. რაზმში ორია მოკლული, მათ შორის ერთი ოფიცერი; რამდენიმე დაჭრილია.

აბასთუმანის რაიონში თათრებმა, რომელთა რიცხვი 800-მდე იყო, 5 აპრილს იერიში მიიტანეს ჩვენს ნაწილებზე ზეკარის გადასავალში და დაიკავეს იხ.

სარიყამიშის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია.

შატილოვი

ახალი ამბავი

◆ რედაქციამ ცნობა მიიღო, რომ ბრძოლაში მოუკლავთ ჩვენი ძვირფასი ამხანაგი გიორგი [illegible]

◆ ბორჯომიდან 5 აპრილს ვენ. არჯევანიძე დეპეშით გვაუწყებს: „სანატორიუმი ავადმყოფებით და ექიმებით ბორჯომში. აბასთუმანში დარჩა სასახლის ქონება. მდგომარეობა გამწვავებულია. საჭიროა კომისარის გამოგზავნა.

◆ სამტრედიიდან 4 აპრილს აგენტი სურგულაძე გზათა მინისტრს ატყობინებს: ქართულ კორპუსის უფროსის მოთხოვნილებით, სამტრედიიდან ტფილისამდე დანიშნულია სპეციალური მატარებელი, რომელიც 23 ს. 50 წ. სამტრედიიდან გამოვა.

◆ კარაბურუნიდან 4 აპრილს იუწყებიან „გუშინდელ თავდასხმის და მუშების მოკვლის შემდეგ, არაქსა და კარაბურუნის შუა მყოფნი მუშები უარს აცხადებენ მუშაობაზე. ისინი ითხოვენ დაცვას. 58 კაცი ვერ დაიცავს ასეთ დიდ ადგილს, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დროს ბევრი ქურდი მოგროვდა მთებში. გზაში მატარებლის გავლის დროს ნახეს რელსები, რომელიც მატარებელს გავლას უშლიდა. გზა გაასწორეს ჯარის-კაცებმა: გთხოვთ ორთქლმავალს, 2 ვაგონს ტყვიის მფრქვეველებით.

◆ **ტფ. მუშათა და ჯარისკაცთა** დეპუტატების საბჭოს სხდომა შესდგება დღეს, შაბათს 7 აპრილს საღ. 6 საათზე სახალხო სახლში.

◆ კვირას ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ყველა დაწესებულების ქართველ მოსამსახურეთა კრება. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ **ლტოლვილები.** ფოთიდან დეპეშით გვატყობინებენ: „გემების ნორმალური მიმოსვლის გამო, გთხოვთ ლტოლვილნი ფოთისკენ გამოგზავნოთ, ნოვოროსიისკში, ტუაპსეში და სოჭაში წასასვლელად. ამ ქალაქებში რუსების გარდა არვინ გაუშვათ.

◆ 5 აპრილს პრაპ. ხმალაძემ, რომელიც ციხესთან არსებულ ყარაულის უფროსად იყო დანიშნული, ნებადაურთველად გაანთავისუფლა დაპატიმრებულნი შტ. როტმისტრი ფირცხალაიშვილი, პორუჩიკი რატიანი და მილიციონერი კაკაურიძე. ამის შესახებ ვერეშჩაკთან საუბრის დროს ხმალაძეს მეტად ცუდად ეჭირა თავი. ამ დროს იქ მყოფნი ფირცხალაიშვილი და რატიანი მივარდნენ ვერეშჩაკს და მისს ადიუტანტს, დააპირეს იარაღის ჩამორთმევა. ხმალაძე არავითარ ზომას არ ღებულობდა ამ მოქმედების შესაჩერებლად. სამნივენი დაპატიმრებულნი არიან, იმათი საქმე რევოლიუციონურ ტრიბუნალს მიენდობა გასარჩევად.

◆ **ლტოლვილი ბერძნები.** ყარსიდან მიღებულია ცნობა, რომ ტფილისისაკენ მოდის 60,000 ლტოლვილი ბერძენი.

◆ დღეს, 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის ქართველ ქალთა სანიტარული რაზმისა, ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე („Тифлисскій Кружокъ. Головинскій пр. 10).

◆ **ლტოლვილნი ტფილისში.** 5 აპრილს ქალაქის თვითმართველობამ ქართულ კლუბში გაგზავნა 400 ლტოლვილი, ინტელიგენტურ პროფესიის (ექიმები, ინჟინრები, მასწავლ. და სხვ.) მაგრამ ისინი არ დაუშვა ქართველ სამხედრო კავშირმა, რომელსაც კლუბში მხოლოდ 2—3 ოთახი უჭირავს. მიუხედავად ქ. თვითმართველობის მიერ მიღებულ ზომებისა ლტოლვილებს არ მისცეს ბინა ხსენებულ შენობაში.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** დაპატიმრა: ჯარის-კაცი აგაფონოვი, კაცის მოკვლის განზრახვისათვის. ჯარის-კაცი ა. კორსაკოვი და ჯიდენაშვილი იარაღით გაქცევის განზრახვისათვის. მე-158 მთავარ საევაკუაციო პუნქტის ექიმი ფრიტი ხაზინის ქონე-

ერი თუ რასა

(დასასრული)

ვიდრე ამ პრობლემის უფრო ღრმა ანალიზსა და ძირითადი პრინციპების ძიებას შევუდგებოდით, ჩვენ შევჩერდებით ერთ საგულისხმო მოვლენის წინაშე. ჩვენ პრობლემატიურ ინტერესს მოკლებულად არა ვთვლით იმ გარემოებას, რომ ფიზიკური მშვენიერების კრიტერიუმი მთელ ადამიანობას ძველმა ბერძნებმა ასწავლეს.

საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის წევრის ვიქტორ ვეიარდის თხზულება **„ლა სენტიმან დე ლა ნატურ“ არსებითად ეხება ამ საკითხს.** რითი აიხსნება, კითხულობს ვეიარდი, რომ არც ძველ ინდოელებს, არც ჩინელებს და სხვა აზიელებს წარმოდგენა არა ჰქონდათ ტანის აბსოლიტურ მშვენიერებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი იდეა (ურიდეე) ვენერა მილოსელისა, ქალღმერთის ზღვის ქაფიდან წარმოშობა ძველ უპანიშადებში გვხვდება ბერძნებამდის. დღესაც ეჩნევა ინდოელების ძველ კერპების ქანდაკებებს, რომ ინდოელებს უმშვენიერესი დედაკაცი მოკლე კისრიან და ენორმულად გრძელ ხელებიან ქალის სახით წარმოედგინათ.

ხოლო ჩინელები, როგორც ვიცით ქალის მშვენებათ არა ბუნებრივად პატარა ფეხებს სთვლიან. ის გარემოებაც საკვირველია, რომ თანამედროვე ევროპიელ როდენისა და კლინგერისათვის პრაქსიტელესი მიბაძვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს დღემდის. ამის მიზეზი თვით ბერძნულ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. ვინკელმანი თავის წიგნში: „დი გეშიხტე დეს ალტერტუმს“ ჰელლას ზომიერ ხელთბილ ჰავასა და სხვა კლიმატიურ პირობებს სთვლის იმის მიზეზად, რომ ბერძენ ხელოვანს ეგზომ შეთვისებული ჰქონდა პრინციპი „არც მეტი და არც ნაკლები“. მაგრამ მარტო ობიექტიური პირობა არ ჰკმარა ამ მოვლენის ასახსნელად.

ბერძენი მხატვარი თუ მოქანდაკე თვით ათენის ქუჩებზე და აბანოებში უმზერდა ნახევრად შიშველ ქალ ვაჟის სრულყოფილ სხეულებს. მარტო ის მწვანე ჯოხი რათა ღირს, რომლითაც მოხუცი სოკრატესი შეაჩერებდა ხოლმე გზად მიმავალ ლამაზ ბერძენ ჭაბუკებს.

თვით ის ზომიერი სისხლის არევა, რომელიც შემთხვევამ მისცა ძველ ჰელლენებს, გახლდათ დაუშრეტელი წყარო ბერძნული მშვენიერებისა. პრაქსიტელესს და ჰომერს სულ უმნიშვნელო შტრიხები და სჭირდებოდათ, რომ მშვენიერი სატირების, ამურების, აპოლოს და პარისის იდეალური სახეები წარმოეშვათ.

ამ შემთხვევაში ჩვენ ნათლად ვხედავთ თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს ერისა თუ ადამიანობის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის რასსიულ პრობლემას.

ნიჭიერ და ნაყოფიერ რასსათა წარმოშობისათვის, ამ საკითხში კომპეტენტური მკვლევარები დაახლოებით 5 ძირითად პრინციპს ასახელებენ.

უპირველესი პირობა ყოველი რასსისათვის კეთილშობილისა და წმინდა რასსიული მასალის სინაღდე. ეგები იკითხოთ საიდან ჩნდება ეს პირველი მოვლენა რასსისა. ამაზე ჩვენ გოეთეს ბრძნული სიტყვით შეგვიძლია გვებასუხნა: „რაც არ აღმოცენებულა, იმას ჩვენ აღმოცენებულად ვერ მივიღებთ. ხოლო უკვე აღმოცენებულის შეცნობა ჩვენ ნიჭსა და გონიერების ფარგლებს აღემატება“. უბრალო ხალხის ბრბოს რომ თვალი გადაავლოთ თქვენ შეამჩნევთ, რომ ერთნი მეტი და უკეთესი ფიზიკური თვისებებით არიან აღჭურვილნი, ვიდრე მეორენი. ისტორიული მაგალითებიდან ვხედავთ, რომ განსაკუთრებულ ფიზიკურ თვისებების აღმოცენებისათვის განსაზღვრული და სპეციალური მდგომარეობის კალაპოტი იყო საჭირო. მაგ. ინგლისელების ავანტიურისტული და ჯანით ძლიერი რასსა ზღვამ და ოკეანემ წარმოშვა. სპარსელების სიზარმაცე და ულაჟობა მონოტონურმა უდაბნოებმა და ერთფეროვნებამ.

ყოველი ჯანსაღი რასსიული მასალა გამუდმებული ბრძოლის ნაყოფი გახლავთ.

ამიტომაც ყოველი ნორჩი ჭაბუკი რასსა ან იღუპებოდა ომებში ან არა და იმავ ომებიდან [illegible] გამოდიოდა. მაჰაბარატას დიდ ეპიკიდან ვიცით რომ სიჭაბუკეში ინდოელებს ერთი წელიც არა ჰქონიათ მშვიდობიანი.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ რასსამ გონიერსებური სიჭარბე გაიღოს, არ კმარა განსაკუთრებული ფიზიკური ჯანსაღობით დაჯილდოვებულ ადამიანების არსებობა. უძლიერესი და უმშვენიერესი რასსები ბერძნების, ინდოელების, ფრანგების და იტალიელების ცხოვრებასა და ისტორიას რომ დაუკვირდეთ, დაინახავთ რომ მათი სისხლი მუდამ ერთი [illegible] ოჯახურად შინაურ წრეში ტრიალებდა. ამას გერმანელები „ინცუხტ“ უწოდებენ. რადგანაც ქართულში ამ სიტყვის ექვივალენტი ვერ ვიპოვეთ იძულებული ვართ ეს ვიხმაროთ მაშველ ტერმინათ.

მაგრამ მარტო ოდენ ინცუხტი არ კმარა. მას თან უნდა ახლდეს ისიც, რასაც ბიოლოგებს სქესობრივ შერჩევას უწოდებენ. ის ოჯახები ძველი არისტოკრატებისა და მეფეებისა, რომელთა გვარის შვილნი ნათესავებს ირთავდნენ ახლო-მომავალში დეგენერაციას და ფიზიკურ გადაგვარებას ვერ სცდებოდნენ. მაგალითისთვის მოვიყვან ვიტელსბახის და ჰაბსბურგის სამეფო გვარებს რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელნი უმეტესად სულით ავადმყოფები გამოდიან. სქესობრივი შერჩევა ადამიანობის ცხოვრებაში მაცდურ როლსა აქვს მინდობილი. მეურნეები და ფერმერები, ჯერ დარვინიდანაც ვიცით, ამგვარ შერჩევას ხელოვნურად აწარმოებენ. სამწუხაროდ ადამიანთა მოდგმა უფრო ექსპერიმენტის სუბიექტად გამოდგება ვიდრე მისივე ობიექტად.

როგორც ხალხების ისტორია, ისე ცხოველებზე მოხდენილი ექსპერიმენტები მრავლად მოწმობენ, რომ ყოველი ძლიერი და წმინდა რასსა განსაზღვრული სისხლის შერევის ნაყოფია.

ისრაელებს დიდი დეფექტები მისცა შედეგად იმ გარემოებამ რომ წმინდა თორა უკრძალავდა მათ სხვა ნათესავს სისხლის შერევას. როგორც ბედნიერი კონსექვენცები ნორმალურ სისხლის შერევისა ჩვენ ვახსენეთ ანგლო საქსების, ნორმანელებისა და დანიელების შედუღება ერთ ინგლისურ რასსად [illegible] ში ჰქონდა ადგილი, რასაც კურციუსი ამოწმებს ეგზომ ავტორიტეტულად.

ჯერ კიდევ ბოტანიკიდან ვიცით, რომ ერთი და იმავე ღეროს ან ტანის მცენარეების ყვავილთა მტვერი ერთი მეორეს ვერ ანაყოფიერებენ. ქარს მოაქვს ყვავილთა მტვერი, ქარი ანაყოფიერებს მათ. ადამიანთა მოდგმის ისტორიაში ქარის როლს რელიგიური აღტყინება ასრულებდა.

დიდი რელიგიური მოძრაობანი ეზიდებოდენ ხალხებს ერთი პოლიუსიდან მეორეზე ან რაიმე რეალური ინტერესი, ან პრესტიჟი ზღვებისა და ტბების ნაპირებზე იწვევდა ომებს, ამ ომებს მოჰყვებოდა ერებისა და რასების შეხლა-შემოხლა. ერთის გაქრობას მეორეს აღმოცენება, ორის შედუღება და მესამის უფრო ძლიერისა და მშვენიერის აღმოცენება.

ასე რომ რამდენიც არ უნდა უარყონ [illegible] კანტიანებურ მარადიული მშვიდობიანობის მოყვარულებმა ომი, მისი კულტურულ ცივილიზაციური მნიშვნელობა ენორმულია.

მაგრამ სისხლის არევა უნდა იყოს აუცილებლად ნორმალური და განსაკუთრებულ დროის განმავლობაში. განსაზღვრული ინტერვალების შემდეგ ხშირი სისხლის არევა დეგენერაციისა ან ანულაციისაკენ მიაქანებს რასსას.

ამგვარად მთავარი და ძირითადი პირობანი ნიჭიერი რასსის წარმოშობისა გახლავთ სიკეთური და თვისება თვით მასალისა, ინცუხტი, სქესობრივი შერჩევა, სისხლის შერევის საჭიროება და განსაზღვრული ინტერვალები. პერიოდიულ სისხლის არევათა შორის. მაგრამ ყველაფერ ამას უნდა დაერთოს ჰისტორიულ გეოგრაფიული პირობები. ამ შემთხვევაში ბოკლის ჩინებული დაკვირვებანი, და მაგალითად ინგლისის, ესპანიის და აფრიკის გეოგრაფიულ სიტუაციიდან საკმარისია გავიხსენოთ, რომ დავრწმუნდეთ გეოგრაფიულ ფაქტორების სიძლიერეში. ჩვენ ვფიქრობთ რომ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები საკმარისია ჩვენ დებულებათა საილიუსტრაციოდ დარჩა მეორე საკითხი. რა არის ერი. რამდენადაც მახსოვს ქართულ ლიტერატურაში ჯერ ერთი სიტყვაც არ არის მიუმატებია იმ შაბლონიურ—განმარტებისათვის, რომელიც ყოველ ფურად გვესმის ჩვენ ერის შესახებ. ერთი ისტორიული ტრადიცია წარსული, ენა ზნე და ადათი, ტერიტორია გახლავთ პრიმიტიული აზროვნების მიხედვით ერის ყველა ფაქტორები. ერნსტ რენანი ამბობს თავის თხზულებაში დისკურ ეკონფერანს: „ფაქტორისა დღითი დღე ჰკარგავს თავის მნიშვნელობასო. ჩვენ კი გვგონია რომ [illegible] ერში ყველა ფაქტორებზე მაღლა სისხლი მეტყველობს რენანი [illegible] გობინოს იდეე ფიქსს რასის სოლიუტური სიწმინდის შესახებ ამბობს: ევროპაში არც ერთი ერი არაა სოლიუტურად სისხლ შეურეველიო. ამის შესახებ ჩვენ საკმაო არგუმენტები მოვიყვანეთ, მაგრამ ვიკითხოთ თანამედროვე ინგლისელების სისხლში ანგლო საქსების და დანიელების სისხლია არეული განა ინგლისელი ერი არ წარმოადგენს [illegible] მთლიან ნაციას? წარმოიდგინეთ [illegible] დღევანდელ [illegible] ამ ომის დროს დაწერილი სტატიები ინგლისელების შესახებ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გაყიდვისათვის და ტეხილი და დაშალოვი ამ ქონების ყიდვისათვის.

◆ **ჯარისკაცთა საყურადღებოდ.** ქართველ მხედართა კავშირის კომიტეტმა მიიღო ამიერკავკასიის მთავრობისაგან წინადადება, — შეატყობინოს ყველა ჯარში გაწვეულ პირთ, რომ მათ ოჯახებს დახმარების დროზე მიღებისთვის საჭიროა შემდეგი მოწმობა: მიეცა ესე მოწმობა ჯ.-კაცს ასეულის (სახელი, მამის სახელი და გვარი) მასზე, რომ იგი ნამდვილად სამსახურშია ჩემდამი მონდობილ ასეულში (ამა და ამ თვე, წელიწადი და რიცხვი), რაიც ხელის მოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმით შემოწმდება.

ხელს აწერს ასეულის ან პოლკის უფროსი.

—

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში მოთავსებულ ამხ. გამსახურდიას გამოკვლევაში „ერი თუ რასსა" შემდეგი შეცდომები გაპარულა:

ფელეტონის მეორე კოლლონის მესამე აბზაცის პირველ სტრიქონში სწერია: კატაკამბების უნდა იყოს: „კატაკომბების". მეცხრე კოლლონის უკანასკნელ აბზაცში სწერია: „ჰაკრიდან წუსემტომამდის" უნდა იყოს „ჰევრიდან". იქვე: „ეს სამუდამჟამო დეგენერაცია" უადგილოდ ჩაკერებული ფრაზაა.

„სახალხო საქმის" მე-213-ე ნომერში მოთავსებული სეიმის წევრის ქ. ანდრონიკაშვილის მიერ წერილში რედაქციის მიმართ გამოტოვებულია მთელი აბზაცი, რის გამო დედა აზრი წერილისა იკარგება სიტყვების „მართალია იყო (თელავში) არეულობა, **მხოლოდ არა მიწის საკითხის გარშემო**" უნდა მიემატოს „არამედ ქართულ მერვე პოლკის ჯარისკაცების მიერ ჩადენილ უწესოებისა და ქალაქის დარბევის გარშემო".

სოფლად და ქალაქად

გორი.

◆ როგორც სოფ. ერედვიდან გვატყობინებენ, მეამბოხე ოსებს სხვათა შორის ტყვეთ წაუყვანიათ ერედვის მცხოვრები რეზო ფავლენიშვილი. იგი უყვანიათ სოფ. ორტევში. იქა ჰყოლიათ ტყვედ, მერმე გაუხდიათ ყველაფერი, ძლიერ უცემიათ და ფეხშიშველი გამოუგდიათ; ცხინვალში ჩამოსვლის მესამე დღეს რ. ფავლენიშვილი გარდაცვლილა. ხსენებული ფავლენიშვილი ხანში შესული კაცი იყო, ავადმყოფი. თანამშრომლობდა ბოლო დროს „კლდე"-„საქართველოში". იყო კაცი ფრიად უწყინარი და პატიოსანი, მოყვარული თავისი ერის და სამშობლოსი. შეძლებისდაგვარად ყოველგვარ დახმარებას და წინამძღოლობას უწევდა გლეხობას ყოველ კარგ საქმეში. მისმა სიკვდილმა ნაღველი გამოიწვია მის მცნობთა შორის.

◆ 27 მარტს თავი მოიკლა ერთმა სომეხმა მილიციონერმა. ამბობენ მიზეზი რომანტიული ნიადაგი არისო.

◆ გორში შაქარი არ იშოვება. კერძო მოვაჭრენი ცოტ-ცოტას აჩენენ, მაგრამ მამასისხლად აფასებენ. სასწორზე, მაგალ. ერთი მოვაჭრე გირვანქა შაქარში 5 მანეთსა თხოულობს.

◆ აქეთ-იქიდან გამოქცეულნი ბლომად აწყდებიან გორს. ამით სარგებლობენ სახლის პატრონები და ოთახებს საზღაპრო ფასი დაადეს. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება დროზე.

◆ სანოვაგეს თან და თან ცეცხლი უფრო ეკიდება. ხორცზე, რომელზეც კბილი არ დაედგმის, ორ მანეთად იყიდება. კვერცხს 10 შაურს აფასებენ თითოს, ქათამს—30 მან. ინდოურს 4—5 თუმანს. ხელის ოდენა პური—2—3 მან.

◆ სითბო ჩამოვარდა. ხანდისხან ცხელა კიდეც. ხეხილმა ყვავილი გამოიღო. შიშობენ ტაროსმა არ ულალატოს და სუსხმა ხეხილი არ დააზიანოს.

◆ ქალაქში, სოფლად ბავშვის ავადმყოფობა, მეტადრე ყვავილი, ძლიერ არის გავრცელებული. ავადმყოფობასთან ბრძოლა ძნელდება, რადგან ასაცრელი ჩირქი არ მოიპოვება.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

ხვალ, დილის თერთმეტ საათზე, „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის კრება. ამხანაგებსა ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

ბათომი დაეცა

1918 წლ. 14 აპრილი (ძვ. სტ. 1 აპრ.)

შავი არშიით აღინიშნება ქართველი ერის ისტორიაში. ბევრი რამ შეიძლება დაწეროს ამ სამწუხარო მოვლენაზე. მაგრამ ამ ჟამად ჩემი მიზანია მოკლედ განვმარტო თუ რა პირობებში მოხდა ძლიერი ციხე ბათომის ასე ადვილად ოსმალების მიერ დაპყრობა.

სამი დღით დროებითი შერიგების შემდეგ 31 (ახ. სტ. 13) მარტს საღამოს 6 საათზე განახლდა ბრძოლა ჩვენსა და ოსმალოს ჯარს შორის. ციხის სამი ფორტი ოსმალების ხელში იყო. მოწინააღმდეგის ჯარი ბათომიდან 4—6 ვერსით იყო დაშორებული. პირველად დაიწყო საარტილერიო ბრძოლა. საღამოს 6—10 საათამდის ქართული არტილლერიის 80 სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნების სროლა სწარმოებდა ბათომის ციხის ცაზე საჰაერო ცეცხლი იყო გაჩენილი, ამ დროს ჩვენი ქვეითა ჯარი თავდასხმისათვის ემზადებოდა და საღამოს 10 საათზე ფორტი „კაიადაბის" დასაბრუნებლად მედგრად ეკვეთა მტერს. მთელი ღამე განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა.

სძლია ჩვენმა ჯარმა და ის იყო გარიჟრაჟზე ფორტი უნდა დაეკავებინათ, როცა ჩვენს მარჯვენა ფრთა ფორტი „ონარიაზე" ოსმალებმა მედგარი იერიში მიიტანეს. „ონარიაზე" მდგომი ჩვენი ჯარი დაუხმარებლად ვერ უმკლავდებოდა მომხდურ მტერს. „ანარიის" მისაშველებლად რეზერვში მდგარა 400 ჯარის-კაცამდის. ნაცვლად მიშველებისა ეს რეზერვი უბრძოლველად გამოქცეულა. ამან საშუალება მისცა ოსმალებს ფორტი „ანარია" დაეკავებიათ და უცბად ფორტი „კოწოლაურზე" იერიში მიეტანათ. ეს მოხდა 14 (ძვ. სტ. 1) აპრილის დილის 7—8 საათზე. ციხის დაცვა უკვე შეუძლებელი გახდა. კომენდანტმა მოინდომა ციხის ჩასაბარებლად სამი დღის ვადა გამოეთხოვა. ამ დროს შეიძლებოდა ბათომის წესიერი ევაკუაცია. ქართველ ლაშქარმა გაიგო თუ არა „ანარიის" დაცემა, ჯარის გამოქცევა და შტაბის გადაწყვეტილება თვით მიეცა შიშს და ლოზუნგად „თავის შველა" დაისახა. დილის საათზე უკვე 8 ეშელონი გამომგზავრებულ იყო. ბათომს შერჩა მხოლოდ პოზიციაზე მდგომი რიცხვით მცირე, მაგრამ შეგნებული და თავგანწირული ნაწილი ქართველი ჯარისა. ეს ჯარი დარჩა და ვინც ცოცხლად გადარჩა ალბად ტყვედ არის წაყვანილი...

კომენდანტს აზრად ჰქონდა ბათომის დაცემის შემდეგ ჩვენს ჯარს „ციხის ძირი" გაემაგრებინა. ჯარი ახლოს არ იცდიდა. რამდენიმე ამხანაგმა მოვინდომეთ პოზიციების მახლობლად ჯარის შეჩერება- სადგურ ჩაქვში ორ უკანასკნელ ეშელონს მოვუსწარით, მაგრამ ჯარის შეჩერება ამაო ცდა გამოდგა. ნატანებში და ლანჩხუთშიც ვსცადეთ ჯარის შეჩერება, მაგრამ სრული უორგანიზაციობა და უსუსატობა ამას ხელს უშლიდა. ჯარს სამტრედიამდის მოვსდიეთ. აქ ხუთი უკანასკნელი ეშელონი დაგვხვდა. მივმართე გენერალ **მდივანს** განკარგულება მოეხდინა შეეჩერებინათ ყველა ბათომიდან მომავალი ეშელონები და რათა ჯარი გაგვეჩერებინა სამტრედიაში და პოზიციებზე დაებრუნებულიყო. ჯარის-კაცები ხიშტით გვემუქრებოდნენ და თუ შევაჩერებდით ყოველივეს დარბევას აპირებდნენ. სადგურზე სროლა ასტეხეს და მოითხოვეს სწრაფად მატარებლის გამგზავრება. ჯარის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მატარებელმა ლაშქარის ნაწილი ალბად ტფილისამდის მიიყვანა.

ასეთი სამარცხვინო მოვლენა ქართველი ერის ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ქ. ქ—ძე.

რადიო-დეპეშები

კონსტანტინეპოლი 18 აპრ. პალესტინის ფრონტს. ჩვენმა დაიპყრა ბიიაზეთი, სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

გერმანიის და ავსტრიის ფრონტი. ოფიციალური ცნობა, მთავარ ბანაკიდან 18 აპრილს.

დასავლეთის ფრონტი. გუშინ მტერმა დაჰკარგა ფლანდრიის დიდი ნაწილი, რომლისათვის მან დიდი მსხვერპლი მიიტანა. გენ. პიკსტ ფონ-არმინის ჯარი ფეხდაფეხ მისდევს მტერს, რომელიც უკან იხევს პოელკაპელის, ლანდორკის და სონეიეკის მიმართულებით. მტერმა შენბახამდის მიაღწია. ვლიანკერდეს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა მტრის საყარაულო პუნქტი დაიპყრა. უკანასკნელი დღეებს ბრძოლაში ტყვედ წამოვიყვანეთ 2500 კაცი; ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ზარბაზანი და მრავალი თოფი. ფრონტზე სომის ორივე მხრივ არტილერიის მოქმედება სწარმოებს, რომელიც ძლიერდება მორისულსა და ლიონ-დიდიერთან, მაასის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენი ბრძოლა ნაყოფიერად დამთავრდა მოსელის ჩრდილოეთით ჩვენ ფრანგების ძლიერი იერიშები შევაჩერეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. სხვა ფრონტზე ახალი არაფერია.

ვენა. ოფიციალური ცნობა 18 აპრილს. გარდაგეს და პიავეს შუა არტილერიის მფრინავი რაზმის მოქმედება სწარმოებს.

ალბანიაში მფრინავმა არიგმა მე 24 ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

ბერლინი. ოფიციალური საღამოს ცნობა. 18 აპრილი. ფლანდრიაში და ლისის მახლობლად მდგომარეობა უცვლელია. ფრანგების იერიშები მორსულთან მოვიგერიეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ.

კონსტანტინეპოლიდან რადიო ცნობა გერმანულ ენაზე. ფრანგები და ინგლისელები, როგორც ყოველთვის, ისე 16 აპრილს დიდად დამარცხდნენ.

„ფოსიშე ცაიტუნგი" გვაუწყებს რომ დანიშნულია თემთა პალატის სხდომა თავად ლიხნოვსკის გასამართლების გამო.

ბულგარეთში. ინგლისელები იუწყებიან, რომ იმათმა ჯარმა დაიპყრა სტრუმის ნაპირზე მდებარე სოფლები.

ბათომისაკენ

თვალი დავკარგეთ ჩვენი ქვეყნისა და მერე, ასე სამარცხვინოდ! გული მიკვდება ბოლმა მახრჩობს, როცა ჰხედავ ამდენ ხალხს, ვაჟკაცებს, რომელნიც ასე გმირულად იბრძოდნენ შორეულ რუსეთში ნიკოლოზის მიზნებისათვის და ეხლა კი ცხვრის ფარას წარმოადგენენ. მშვენიერი მასალაა ჯარისა თვის, მაგრამ უორგანიზაციობა ჰკლავს და ყოველგვარ ფასს უკარგავს...

ბათომი დავკარგეთ, გაისმა მგლოვიარე ხმა და ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეში სიმწრის გამოძახილი ჰპოვა. მე მოწამე ვიყავი ჩვენი ჯარის უკან დახევისა, საშინელი იყო ის დღე და საზარელი. ნეტავ არ მენახა!..

სამტრედიაში.

მახსოვს და არ დამავიწყდა ის საშინელი ღამე, უკუნეთი, უბედური ღამე პირველი აპრილისა. ჩვენ, სამოცი არტილერისტი გაგვგზავნეს ტფილისიდან ბათომის საველე ზარბაზნებზე სამუშაოდ. მაგრამ ვერ მივუსწარით მშობელ დედას, ვერ მივედით დანიშნულებამდე. ბათომი უჩვენოდ გარდაიცვალა, აბა რას დავიჯერებდით! აქვე გვეუბნებოდნენ, რომ ქალაქს აიღებენ. განა თუ ჩვენ არ ვიცოდით, რომ საბოლოო გამარჯვება ფრიად საეჭვო იყო. მაგრამ იმედი გვქონდა, გული ვერ დაგვეჯერებინა, რომ ასე მალე დაგვატყდებოდა ეს უბედურება. და აი, სამტრედიაში, მოლუშულ ღამეს პირველი აპრილისა ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ პირველი გამოქცეული ეშელონი! ღმერთო, ჩემო, რა სურათი იყო!

პირველს მოჰყვა მეორე, მესამე. შეიარაღებულ ბრბოთი გავსებულ ვაგონები, სახურავიც სავსე მოდიან დარცხვენილნი. გაჩერდა თუ არა მატარებელი—მაშინვე გამოცვივდა ხალხი და საზარელის, ცხოველური ხმით ღრიალებდა: გაგვყიდეს ამხანაგებო, გაგვყიდეს! ბათომი თათარს ჩააბარეს..

ისმის ჩოჩქოლი. უტევენ, რატომ მიატოვეთ იგი, რისთვის მოდიხართო, მაგრამ ამაოა შერცხვენა.. გამოქცეულნიც გზა აბნეულნი არიან, როდი იციან, სად მიდიან.

ისმის ქვითინი. ხალხი სტირის, გლოვობს თავის უბედურებას, შერცხვენას. დაკლული ხარივით ღრიალებს ზოგიერთი. უყურებ ყველაფერ ამას და ჰკვირობ: თუ კი ამ ხალხს ასეთი გული შესტკიოდა, რატომ ვერ გაჰგზავნა ბრძოლის ველზე ღირსეული მეომრები?..

ვდგევართ მე და ჩემი ამხანაგი და ცრემლებს ძლივს ვიკავებთ. ვეღარ მოვითმინეთ ამ სურათის ყურება და იქ, ბნელ კუთხეში ქვითინი წაგვსკდა. ვსტიროდით და გვრცხვენოდა, ვსტიროდით ჩვენს სირცხვილს, ჩვენ სამშობლოს უბედობას.

ათასგვარი ჭორი ვრცელდება. სეიმმა დაადგინა ბათომის გადაცემა და ამიტომ უბრძოლველად დაუთმესო, დიდი აღელვებაა. ჰკიცხავენ ყველას და ყველაფერს. უცებ გაინათებს იმედის სხივი: არა, ბათომი მთლად არ აუღიათო, წუთიერი სიმხიარულე. მერე ისევ გლოვა და ვაი, ვიში..

კიდევ ახალი ცნობა: ბათომში დარჩენილა ჯარი და იგი იბრძვის. მას მიშველება უნდა, დიახ, იქ დარჩნენ გმირები და იბრძოდნენ უკანასკნელ წუთებამდე მაშინ, როცა სულმდაბლები და ნაძირალები გაჰრბოდნენ. კიდევ ყოფილა ჩვენში ადამიანობა, დიდება მათ სახელს!..

ჩვენ გვაბრუნებდნენ ტფილისში. გადავწყვიტეთ ბატარეას წავყოლოდით ქვეითა ჯარად, რადგან კიდევ იმედი გვქონდა ბათომისა. დაე იქ დავიხოცნეთ ყველანი და ჩვენ იარაღს არ დავყრით, ვინც უნდა მოგვიწოდოს, ყოყმანის შემდეგ ნება მოგვცეს და საჩქაროდ გავემგზავრეთ.

ნატანებში.

მაგრამ უკანასკნელი იმედიც გაგვიცრუვდა. ბათომი საბოლოოდ დაცემულა, ხოლო აჭარა-ქობულეთი ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა ჩვენისავე დარიგებულ ვინტოვკებით. ჩაქვის თავი გადაჭრილია. ბათომი მოწყვეტილია. იქვე, ნატანებთან ქობულეთლებს რკინის გზა გაუფუჭებიათ.

დავბანაკდით ნატანებში. აქვე გროვდება ჯარი. მოდიან უკვე სიმედო, გამოცდილი ხალხი—მრავლად არიან ძველი სალდათები. ხალხმა იგრძნო საშინელება მდგომარეობისა და ყოველი სოფლიდან მოეშურება აქეთკენ შეიარაღებული ჯარის-კაცობა. ხალხი გუშინდელ გარინდებისაგან გამოერკვა და კვლავ იმედი აღეძრა ბათომის უკან დაბრუნებისა. ყველანი მოვდივართ—იძახიან გურულები.

ვგზავნით მზვერავთა რაზმს, წითელ გვარდიელებს და არტილერისტებს. აქა-იქ ჩვენ პოსტებს ესვრიან. დაპატიმრებულია რამდენიმე ქობულელი. რა საშინელებაა: ვინ დაიჯერებს, რომ ეს ხალხი გურული არაა და ჩვენ გვესვრის თოფს! რა უბედურია შენი ბედი საქართველოვ!

შემთხვევით შემხვდა „საქართველოს" ნომრის ნახევი. სწორედ ის ადგილია, სადაც აღწერენ ქობულეთში მომხდარ მიტინგებს. ქობულელები გვეფიცებიან, რომ ისინი ჩვენზე ხელს არ აღებენ. და იმ წუთშივე მოდის ჩემთან ერთი ჯარის-კაცი: რამდენიმე კაცს იარაღი და სურსათი მოგვქონდა, გზაში შეიარაღებული ბრბო დაგვხვდა ქობულელებისა და ყველაფერი წაგვართვაო. რა მწარე დაცინვად მომეჩვენა მაშინ გაზეთის მოთხრობა!..

მაგრამ დღეს უკვე სასოწარკვეთილების ნასახიც აღარაა ხალხში. ყველა დიდი იმედით შესცქერის მომავალს. აი, ხვალ უნდა წავიდეს წ. 6 ბატარეია და პირველი რაზმი. ვნახოთ რა იქნება. არა, ხალხს კიდევ შეუძლიან, კიდევ ჰსურს ბრძოლა და სადაც სურვილი და ძლიერი ნებისყოფაა—იქ გამარჯვებაც ადვილია. რა უყოთ, რომ დროებით დავმარცხდით. სადაც ბრძოლაა, იქ დამარცხებაც უნდა მოელოდე—ასე ჰფიქრობს ყველა. ვქონიოთ სულის სიმტკიცე, ასე მალე ნუ დავყრით იარაღს. დაე ამ საუკუნის განმავლობაში ერთხელ მაინც გავსწიოთ ერობა და საკუთარ ინტერესებისათვის ვიბრძოლოთ. დაე დავმარცხდეთ, გავნადგურდეთ, მაგრამ დავმარცხდეთ ბრძოლაში, საკუთარი ხელით ნუ დავსწერთ საკუთარსავე სიკვდილის განაჩენს..,

მოდის ბრძანება უზარბაზნო არტილერისტები ტფილისს დაბრუნდნენ არტილერიის ჩამოსატანად. ზლაზვნით და უხალისოთ ვსტოვებთ ამ ადგილებს, სადაც დიდი ბრძოლა იქნება ახლო მომავალში. მალე და ჩქარა ნახვამდის!

ქ. რაჭ—ლი.

„არც ერთ ევროპიელ ერს ისეთი უაღრესად ინდივინდუალური და ნაციონალური ფიზიონომია არა აქვს, როგორც ინგლისს ამბობს დელიუსი. ინგლისელი ვაჭრის, ლორდის, სტუდენტის თუ კომივოაჟერის ტიპს ვერასოდეს ვერ აურევთ ფრანგებში და გერმანელებში. უკანასკნელთ სავსებით არ ეტყობა ჯერ ნაციონალური ტიპის პრეგნანსი და სრულ ყოფა.

რასსიულ ფაქტორთან რომ მკრთალი და უმნიშვნელოა, როგორც იდიომური ისე ტერიტორიალური ფაქტორები ერის ცხოვრებაში ამის უდიდესი ილიუსტრაცია თვით თანამედროვე ებრაელებია. მათ დაჰკარგეს როგორც ენა ისე ტერიტორია, მათ აწინდელ მდგომარეობას კავშირი გაწყვეტილი აქვს ძველი ისრაელის ისტორიასა და წარსულთან, მაგრამ რასსიული ტიპი ებრაელისა გოეთესებური: დერ ევიგე იუდე—მარადიული ებრაელი მარად ცოცხალია. ნაცია მუდამ პოლიტიკურ კომბინაციას გულისხმობდა და სულში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში იწყება რასსიულად დაჯგუფება სახელმწიფოებისა რასსიული გულისხმა ადამიანთა ბრბოს კულტურულ ცივილიზაციურ მუშაობის დროს ერთ სტილსა და ერთ სახეობას აძლევს, მაშინ როცა ისეთ ქაოტიურ ელემენტებისაგან შემდგარი სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორიც იყო ძველი ბიზანტია, რომი თანამედროვე რუსეთი და ავსტრია, უარყოფითად მოქმედობს ადამიანების შემოქმედებაზე.

წარმოიდგინეთ მაგნიტი და მის გავლენის სფეროში მდებარე ლურსმნები რაც უფრო ახლოს მიიტანთ მაგნიტს განსაზღვრულ ცენტროპუნკტის გარშემო მარაოსებურ ფიგურის სახით შეჯგუფდებიან ეს ლითონის ნაჭრები და უსწორმასწოროთ მიმოყრილ ლითონის ნაჭერთა გროვას ერთი განსაზღვრული ფორმა და მიმართულება ეძლევა. ეს მიახლოება მაგნეტისა ლითონებისადმი მოგვაგონებს მიზანშეწონილს, ისტორიული ტრადიციებით განმტკიცებულ გეზს რასსის გულისხმიერებისას და რასსის სისტემატიურ წვრთნასა და გაუმჯობესებას.

რომის სახელმწიფო ანტინაციონალური პრინციპის განხორციელება იყო. რომის დანგრევის შემდეგ ევროპის შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოიშვა მთელი რიგი ახალ რასსათა და ამგვარად მთელი რიგი ახალი ნაციონალური ინდივიდუალური კულტურის მატარებელნი სჩნდებიან. რენანი ფიქრობს მხოლოდ ძველ სამყაროში იყო რასსიულად წმინდა ეროვნებანი, რადგანაც მხოლოდ მაშინ მოიპოვებოდა სისხლშენახული ერები. ალბად იგი გულისხმობს ერთის მხრით ისრაელების ქვეყანას, სადაც თორას აკრძალული ჰქონდა ებრაელებისათვის უცხო თესლთან სქესობრივი ურთიერთობის დაჭერა და ცნობილი ათინელი დემოკრატის პერიკლეს კანონი, რომლის მიხედვით ათინელებს ნება არ ჰქონდათ ბარბაროსებთან შეუღლებისა. ახალ ევროპიულ კულტურათა ყველა ეტაპი დაამოწმებს იმ გარემოებას, რომ აქ ყოველი ერის ფიზიოლოგიური მთლიანობა იკვანძებოდა უწინარეს ყოვლისა და ეს ფიზიოლოგიური მთლიანობა იყო მარად ის ფუძე, რომელზედაც ყოველი ახალი ერი ფსიქოლოგიურ მთლიანობას ამყარებდა. ავიღოთ თუნდ ის გარემოება, თუ როგორ გაიგო ყოველმა ევროპიულმა ერმა ქრისტიანიზმი. რეფორმაცია ქრისტიანული ეკლესიისა, ეკლესია ანგლოსაქსური, ეკლესია ლიუტერისა, კალვინისა და სხვათა—აი აშკარა საბუთი ევროპიელ ერთა ფსიქოლოგიური გათიშვისა. ზოგიერთ ანტროპოლოგს დღესაც სჯერა, თითქოს ერების ცხოვრებაში ერთგვარი პროგრესიით ხდებოდა **რასსიულ მრავალსახიერების გადასვლა ერთსახიერებისაკენ.** ისტორია ხალხთა ცხოვრებისა წინააღმდეგს მოწმობს. ერთა ცხოვრებას ეტყობა რასსიულ ერთსახიერებიდან დაუსრულებელი ლტოლვილება, როგორც ფიზიოლოგიურ-ანტროპოლოგიურ, ისე ფსიქიურ მრავალსახიერებისაკენ. ძველი სამყარო, სამყარო რომისა და ბიზანტიისა წარმოადგენდა ერთგვარ მოძრავსა და უფერო აგრეგატს, რომელიც გვიან საფუძვლად დაედო დაუსრულებელ დიფერენციაციას, დივერგენცს და მკაცრ რასსიულსა და ფიზიოლოგიურ ინდივიდუალიზაციას. ერები მიილტვიან ურასობის ქაოსიდან განსაზღვრულ რასსობრივ ფიზიონომიის გამოკვეთისაკენ. გარნა ბუნების უაღრესს თვისებას და ღირსებას ის არ შეადგენს, რომ მისი ლაბირინთი დღითი დღე მდიდრდება ძველი და ახალი ორიგინალური ინდივიდუმებით და მოდუსებით. ევროპიულ ერებისა და რასსების აღმოცენება სულ ათასიოდე წლის განმავლობაში აშკარად მოწმობს ამას.

რომის ქაოტიურ კულტურას დაუპირდაპირდა ერთის მხრით ნაციონალური კულტურა მკვეთრით ამდგარი საბერძნეთისა, პლატოს შეხებამ დაფრთხო ასკეტიზმით პირგამეხებული ლანდი ქრისტესი. ძალოვანმა ანტიქრისტემ ნაციონალურ ჰელლენურ კულტურისამ გენერალური ბრძოლა გადაიხადა ისევ იტალიის მიდამოებში. აქვე მოხდა ფიზიკური დამარცხება ინტერნაციონალური რომაული სახელმწიფოისა ჯანსალ, ველურ, მაგრამ ნაციონალურად დარაზმულ გერმანელების მიერ.

აქვე გაიკვანძა ახალი და ნორჩი კანვა რენესანსისა და თანამედროვე ევროპის უაღრესად ნაციონალური კულტურისა.

ამ გარდამავალ ხანას ადამიანობის ცხოვრებაში თვალსაჩინოდ ახასიათებს შემდეგი ფაქტი. 1404 წლის მიწურულში კაზიმო მედიჩელის მძიმე ავადმყოფობამ მთელი ფლორენციის მცხოვრებნი შეაშფოთა. მას დარბაზებში ცერებზე დადიოდნენ ასკეტი ბერები და სულიერი მამები. კოზიმო მედიჩელი ცნობილი ჰელლენისტი და პლატოს მოწაფე იყო თავის დროს, ამიტომ მას არ უნდოდა ქრისტიანულ სამღვდელოებისგან ემინა უკანასკნელი სანუგეშო სიტყვა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მან მოიხმო ფლორენციელი ჰუმანისტი მარსელიუს ფიჩინუს. პლატოს მიმდევარმა მარსელიუსმა მშვიდათ და აუჩქარებლად უქადაგა მომაკვდავს ღვთაებრივ პლატოს სულთა მგზავრობის მარადიული ლეგენდა და პირველად მიიცვალა ამ საუკუნეში რელიგიით ქრისტიანი, პლატონიური იდეებით ნუგეშცემული. აი გარდამავალი ეტაპი ნაციონალური და ინტერნაციონალურ კულტურისა.

პირველი ბრწყინვალე აუსტერლიცი ნაციონალური კულტურისა და შავი ვატერლო ქაოტიურ ბასტარდულ რომისა და ბიზანტიის.

ჩვენ მიერ აღძრულ პრობლემებს, უადგილო არ იქნება კიდევ ერთი საკითხი დაუკავშიროთ. ყველა ევროპიელ და აზიელ ერების ვინაობაზე მეტად ჩვენი, ქართველების რასსიული ვინაობაა ბნელით მოცული. ოდესმე დიდი რასსის ნატეხი ქართველი ერი დღესაც სასოწარკვეთილი დგას წყვდიადით მოცულ წარსულთან. დიდძალი ნაწერები მოიპოვება ქართული რასსის შესახებ, როგორც გერმანელების, ისე ინგლისელების, ფრანგების და ჰუნგრელების ლიტერატურაში. ჩვენ აქ არ გავიმეორებთ იმ ჰიპოთეზებს, რომელიც ეკუთვნის ჟან ბროსეს, მაქს მიულლერს, ლუშანს, ჰომელს, ჰჯუსინგს, შუხარტს და რამოდენიმე ჰუნგრეთის მეცნიერებს, რომელნიც ქართულ რასსას ჰუნგრულის შტოთ სთვლიან. აღსანიშნავია ჩვენი თანამემამულის მ. წერეთლის მუშაობაც ევროპაში ამ საკითხზე.

ფრიტც ჰომელი თავის შრომაში „დიე გეშიჰტე დეს ორიენტს" ქართულ რასსას სუმერიელების ხალხთა შტოთ სთვლიდა, მაგრამ 1915 წლის დეკემბერს მან შესცვალა ეს ჰიპოთეზა და განაცხადა—სუმერიელების მემკვიდრედ ქართველები კი არა ოსმალები უნდა მივიჩნიოთო.

პროფესორი ჰომლი თვითვე ამბობდა ერთ კერძო საუბარში, რომ მან სამწუხაროდ ქართული ჯეროვნად არ იცის. განა მარტო ჰომელმა, ჟან ბროსეს და შუხარტის გარდა არც ერთმა ევროპიელმა მეცნიერმა ქართული არ იცოდა ერთი მხრით ამ თავსა ხერგა მათი ჰიპოთეზების უნიადგობა ნუ დაგვავიწყდებათ რომ დილეტანტიზმი ყველაზე მეტ შეცდომათ მეცნიერებს ჩაუთვლებათ და გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ ზემოთ ხსენებულ მკვლევარებს ამ სფეროში აბსოლიუტური დილეტანტიზმი ახასიათებდა მუდამ. მეორე მხრით უმთავრესი მიზეზია ერთგვარი ჭირვეულება ლინგვისტებისა, როცა ისინი ასეთ რთულ პრობლემას მხოლოდ იდიომურ კვლევა ძიების მეთოდებით უპირებენ ახსნას.—ასეთსავე შეცდომებს სჩადიან ჩვენი თანამემამულენი ნ. მარი და მ. წერეთელი როგორც წინეთ მოგახსენეთ ფაქტორი ენისა, არ კმარა რასობრივ ნათესაობის და ერთგვარობის დასამტკიცებლად. ჩვენ შეგვიძლია ამერიკის და შვეიცარიის გარდა მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ, რომელნიც მოწმობენ, რომ შეიძლება ორი სულ სხვა ტომის, სულ სხვა რასსის წარმომადგენელნი ერთ და იმავე დიალექტით მეტყველობდენ.

თუ ქართული რასსის პრობლემა ჯერაც მხოლოდ და მხოლოდ პრობლემად დარჩენილა, ამას საპატიო მიზეზიცა აქვს.

ეს საკითხი ქართული უნივერსიტეტია საძირკვლის ჩაყრას უცდიდა. მრავალ თაობათა და ქართველ მეცნიერთა გამუდმებული მუშაობაა საჭიროა რომ ჩვენ ცალი თვალით მაინც ჩავიხედოთ ჩვენი წარსულით მოსილ ლაბირინთში, გავიცნოთ ჩვენივე თავი და ქართველმა ერმა თვითვე ღაღად ჰყოს წ. პავლის მრავლის მეტყველი სიტყვები:

„ჩვენ თავს ვაკუთნებთ,
დღეს ამა მოდგმას,
[illegible]

კოწია გამსახურდია.

ბათუმისკენ

2 აპრილია. საღამოს ექვსი საათი. ყველანი ფუსფუსში ვართ. ვცდილობთ არაფერი დაგვავიწყდეს და ჩქარა მივიდეთ იქ, სადაც ჩვენი მოქალაქობრივი და მამულიშვილური მოვალეობა მიგვიწვევს.

საღამოს 7 საათზე მწყობრად გამოვდივართ და ფეხით მოვემართებით ვაგზლისაკენ.

მიხეილის ქუჩაზე ერთი უსიამოვნება გვხვდება, რაიც ფრიად დამახასიათებელია ზოგიერთთა სულის განწყობილებისა: ერთი კაცი, რომელმაც დაგვინახა, უკმეხად და დამცინავად სთქვა:

— სად მიდიან ეს პირუტყვები, სიცოცხლე ხომ არ მობეზრებიათო.

„პირუტყვები“ მისცვინდენ უცნობს და შესაფერი პასუხი მისცეს, თუმცა შეშინებული უცნობი ფიცულობდა, ღმერთმანი ქართველი ვარო.

უცნობს ერთხელ კიდევ „აგრძნობინეს“, რომ მით უფრო უნდა ეწვოდეს მას გული ბათომის დაკარგვაზე.

ვაგზალზე მოვდივართ. ჩვენი მატარებელი იგვიანებს. ირკვევა, რომ ღამის პირველ საათამდე ვერ გავალთ ტფილისიდან.

რაზმელები ჯგუფ-ჯგუფად ვიკრიბებით და ვმუსაიფობთ. ჩვენთან ერთად ტრიალობენ ჩვენი უფროსი ამხანაგები.

სულიერი განწყობილება რაზმელებისა მშვენიერია.

შუაღამისას, 12 საათზე, საბარგო მატარებლებში მოვთავსდით. ჩვენი ეშელონი, რასაკვირველია ერთს ვაგონში ვერ მოთავსდებოდა და სამ ჯგუფად გავიყავით. ერთს ვაგონში ტფილისელნი მოვთავსდით, ხოლო ორში—ჩვენი დუშელი ამხანაგები, რომლებმაც მორთეს მშვენიერი სიმღერა.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი გარემოება. ჩვენს შამაც და გულით მაგარ დუშელებთან, სხვათა შორის, არის ერთი ცოლშვილიანი კაცი, რომლის დედის შესახებაც დუშელებმა ასეთი ამბავი გადმოგვცეს:

როცა მან დედას გააგებინა, ომში მივდივარო, დედამ ბევრი არ იფიქრა და შვილს უთხრა:

— გასწი შვილო, ახლავე გასწი და ჩქარა მოიხადე ვალი სამშობლოს წინაშე; ვწუხვარ მხოლოდ იმას, რომ შენი პაწაწინები გვერდით ვერ ამოგიდგებიან და შენთან ერთად ვერ დაიცავენ სამშობლოსაო.

ღამის პირველი საათი სრულდება და ჩვენც ვეთხოვებით ტურფა ტფილისს.

ნეტავი სამუდამოდ?

ჩვენი ეშელონის დიდს უმრავლესობას ქართლელნი შევადგენთ, მაგრამ ბედი დაგვცინის და ღამის სიბნელე ნებას არ გვაძლევს, რომ სასიკვდილოდ გამზადებულებმა ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი ქართლის არე-მარეს, სადაც ჩვენი კრთობის აკვანი დარწეულა და სადაც ცეცხლის ასოებით ჩაბეჭდილა ჩვენს გულში უწმინდესი გრძნობა კიდევაც სამშობლოს სიყვარულისა.

აი ხაშურს მოვაღწიეთ და ინათლა კიდეც.

იმერეთში რომ შევედით, უკვე კარგად იყო გათენებული.

წიფის სადგურზე ფუსფუსია. სამხედრო პირნი ირევიან. ტფილისისკენ მიმავალ მატარებელში საეჭვო მგზავრებს სჩხრეკენ და აპატიმრებენ რამდენიმე გამოპარულ ჯარის კაცს. ჩვენი რაზმელნიც ეხმარებიან მათ. ჯილდოდ სამი „ვინტოვკა“ გვრჩება ჩვენ.

ძირულას რომ გავცდით, ერთი ნარცხი შეგვემთხვა, მატარებლიდან ერთს ჩვენს ამხანაგს ძირს გადაუვარდა/ კარაბინი. ეს თითქო ვერ დავთმეთ და დიდის ბოდიშით მატარებელი შევაჩერებინეთ. ნარცხი კეთილად გათავდა. კარაბინი ვიპოვეთ. თანაც ჩვენმა რაზმელებმა გზაზე შეიპყრეს ფეხით გამოპარული ჯარის კაცები და ძირულის მთავრობას ჩააბარეს.

აი მოვედით ზესტაფონშიც, სადაც ფრიად დიდი სულიერი აღფრთოვანება და ზნეობრივი დაკმაყოფილება მოგველოდა.

შუადღის 12 საათია, რომ მატარებელი ზესტაფონის ვაგზალში ჩერდება.

ვაგზალს უკან, მოედანზე დიდძალი ხალხია დაგროვილი. მიტინგია. ორატორები სჭექენ, ხალხი კი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ერთხმად ადასტურებს ორატორთა სიტყვას.

ორატორნი ლაპარაკობენ, რომ სამშობლო განსაცდელშია და საჭიროა იარაღი აიღოს ყველამ, ვისაც შეუძლიან.

— მოქალაქენო—ამბობს ორატორი—აი იქ, ამ მოედანზე უნდა აღვმართოთ სახრჩობელები და ზედ უნდა ჩამოვკიდოთ ყველა ის, ვინც სამშობლოს უღალატებს და ბრძოლის ველს ლაჩრულად დასტოვებს.

— ასე უნდა მოვიქცეთ. სიკვდილი მოღალატეებს!—ერთხმად გრგვინავს ხალხი.

კიდევ ლაპარაკობენ სხვა ორატორებიც და ხალხს მოუწოდებენ, მებრძოლთა რაზმში ჩაეწერნონ. ირკვევა, რომ ხალხი დიდის ხალისით ეწერება სიაში და ჩქარა ზესტაფონის მაზრაში დიდძალი მეომარი ძალა მზად იქნება.

ზესტაფონის სადგურიდან ხალხი დიდის ზეიმით გვისტუმრებს.

— ღმერთმა მშვიდობით დაგაბრუნოთ,—გრიალებს ხალხი.

— გაუმარჯოს საქართველოს,—უპასუხებენ რაზმელნი.

სამტრედიაში ორს საათზე ვართ. სამი აპრილია.

ირკვევა, რომ ჩვენ ერთ-ორ დღეს აქ დარჩენა მოგვიხდება. დარჩენა მით უფრო აუცილებელია, რომ ხვალისთვის ტფილისიდან ველით ქართულ პარტიზანულ პოლკის სხვა ეშელონებსაც პოლკის უფროსის მეთაურობით.

სამტრედიაში ყოველ კუთხიდან ის ამბავი მოდის, რომ ხალხი მზად არის თავი დასდოს სამშობლოსთვის ყველგან არსდება ეგრედ წოდებული სიკვდილის ბატალიონები. დაძრულა სვანეთიც და საუკეთესო ვაჟკაცებს გზავნის სამშობლოს დასაცავად.

რ. ბ—ლი.

ს.-რევოლიუციონერთა პარტიის ამიერკავკასიის ყველა ორგანიზაციებს*)

ამხანაგებო! რადგან ადგილობრივი ორგანიზაციები საოლქო ცენტრს მოწყვეტილი იყო, ეს უკანასკნელი უკიდურეს და საპასუხისმგებლო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, როცა მას უნდა გადაეწყვიტა, თუ რა პოლიტიკა ეწარმოებია ამ თანამედროვე რთულ და სწრაფ ცვალებად მომენტში. ამავე დროს ეს მდგომარეობა ხელს უწყობდა ადგილობრივ აზრთა სხვადასხვაობას ტაქტიკის მხრით, რაიცა გამოიხატა მაგალითად იმაში, რომ ბაქოს ორგანიზაციამ აღიარა საბჭოს მთავრობა და ქუთაისური ამხანაგები დემოკრატიულ ამიერკავკასიის დაცვის შესახებ ერთ გადაჭრილ აზრს ვერ დაადგნენ.

ასეთი მდგომარეობა პირდაპირ ავალებდა საოლქო კომიტეტს მიეღო ენერგიული ზომები და მოეწვია სრულ უფლებიანი პარტიული ყრილობა, რომელსაც უნდა გამოერკვია ყველა მიმდინარეობა, რომელსაც ადგილი ქონდა საოლქო ორგანიზაციაში და გამოენახა ერთი პოლიტიკური გზა ყველა ცოცხალ ძალთა თავის გარშემო შემოსაკრებად და გასაერთიანებლად.

საოლქო კომიტეტი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ამ პარტიულ ყრილობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ზოგიერთ ტაქტიკურ უთანხმოების ან სრულიად ბოლოს მოღება და ან მისი შესწორება.

ამასთან საოლქო კომიტეტი ფიქრობდა, რომ ამ ყრილობას უნდა აღედგინა პარტიის დარღვეული დისციპლინა და ამ მიზნით მიეცა შესაფერი დირექტივები ახალ საოლქო ცენტრისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საოლქო კომიტეტმა ყოველი საშვალება მიიღო ყრილობა 20 მარტს მომხდარიყო, ის არ შესდგა, რადგან უპირველეს ყოვლისა ყრილობაზე არ გამოცხადდა ორი მსხვილი ორგანიზაცია: ბაქოს—მუშათა და ქუთაისის—გლეხთა.

წარმოდგენილი იყო 17 ორგანიზაცია, საერთო რიცხვით არა ნაკლებ 60 და ამ სამოციდან ხოლოდ 13 იყო ნამდვილი წარმომადგენელი ადგილობრივ ორგანიზაციიდან და დანარჩენი 40 როგორც ტფილისის ორგანიზაციის წევრნი ადგილობრივ ორგანიზაციების სახელით „წარმომადგენლობდნენ“.

ცხადი არაა, როცა ასეთი შემადგენლობა იყო, ამხანაგებს არ შეეძლოთ თავი ყრილობად გამოეცხადებინა და ამიტომ ყრილობის მაგიერ თათბირი გამართეს.

მიუხედავად ამისა, თათბირმა მაინც მიითვისა ის უფლებები, რომლებიც მხოლოდ პარტიულ ყრილობას ეკუთვნის. თათბირმა თავისგან გამოჰყო ცენტრი, რომელიც დაუპირდაპირა არსებულ საოლქო კომიტეტს. თათბირის წევრ ამხანაგების ასეთი ნაბიჯი, რომლის მსგავსი ჩვენი პარტიის ისტორიაში არ მომხდარა, იმის მაგიერ, რომ ხელი შეეწყოს მომავალმა ყრილობამ გააერთიანოს და გააძლიეროს ჩვენი პარტია, ამ აქტით აკანონებს იმ მტაცებლობის ტაქტიკას პარტიულ ცხოვრებაში.

საოლქო კომიტეტი მიაქცევს ამხანაგების ყურადღებას კიდევ იმ გარემოებას, რომ ამ მიტაცების გზას, რომელსაც დაადგა თათბირი, პრინციპიალურ ხასიათის ნიადაგი არა აქვს: იმ რეზოლიუციით, რომელიც თათბირმა გამოიტანა მიმდინარე მომენტის შესახებ, მან დაადასტურა საოლქო კომიტეტის პოლიტიკური კურსის სისწორე, მრავალ ძირითად საკითხების შესახებ, როგორც სეიმთან დამოკიდებულება, თავდაცვა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება (იხ. „ზნამია ტრუდა“ № 62).

უკანასკნელ არაჩვეულებრივ პარტიულ ყრილობაზე ერთხმად არჩეულ საოლქო კომიტეტი რჩება თავის ადგილზე და ერთ მახლობელ მიზნად ისახავს მოიწვიოს სრულ უფლებიანი პარტიული ყრილობა და უფლებას აძლევს ბაქოს და ქუთაისის ორგანიზაციებს ურთიერთ შეთანხმებით აირჩიონ ამისთვის დრო.

საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ თათბირის მიერ არჩეული ცენტრი—თვითნებითია და წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომლებიც მის შემადგენლობაში არიან, ერთი კვირის განმავლობაში გამოვიდნენ იქიდან და ამის შესახებ შეატყობინონ საოლქო კომიტეტს.

საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ „ზნამია ტრუდა“ არ არის საოლქო ორგანიზაციის გაზეთი.

ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება, ის ამიერკავკასიის საოლქო ორგანიზაციიდან გამორიცხულად ჩაითვლება, რასაც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებენ და ამის შესახებ მსჯელობას იქონიებს მახლობელი საოლქო ყრილობა—ორი დაწესებულება, რომლის წინაშე საოლქო კომიტეტი პასუხს აგებს მის მიერ მიღებულ ზომების შესახებ.

ამავე დროს საოლქო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ თვითნებობით დაარსებულ ორგანიზაციის სახელით შეიძლება გამოჩნდეს დოკუმენტები, რომლებზედაც საოლქო კომიტეტის წართმეული ბეჭედი იქნება დასმული. საოლქო კომიტეტი მიაგონებს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომ უკეთუ რაიმე დოკუმენტზე საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ნესტორისძე ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი არ იქნა, არავითარი ასეთი დოკუმენტი ს.-რევოლიუციონერთა პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით გამოცემულ დოკუმენტად არ უნდა ჩაითვალოს“.

სოც.-რევოლ. პარტ. ის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

---

*) ეს განცხადება იბეჭდება ს. რ. საოლქო კომიტეტის თხოვნის თანახმად. **რედ.**

თეატრი

ამ ბოლო დროს „ახალ კლუბში“ ქართველ მსახიობთა ამხანაგობა „მყვირალა“ პიესებს სდგამს.

რასაკვირველია, ასეთ მყვირალა პიესებს არც „არშინ-მალ-ალანი“ (არშინით ფართლეულობის გამყიდავი) ჩამორჩებოდა.

სამშაბათს, 3 აპრილს ხელმეორედ წარმოადგინეს მსახიობებმა ეს მხიარული ოპერეტა.

პიესის გარჩევას არ შევუდგებით, ვინაიდან იგი თითქმის ყველა ინტელიგენტს და არა ინტელიგენტს აქვს ნახული.

ვიტყვით კი რომ იგი თუ იზიდავს ხალხს მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ აღმოსავლეთური ჰანგები უხვადაა განფენილი და მაყურებელი რაღაც მშობლიურ ნიადაგზე გრძნობს თავს.

თავდაპირველად ეს პიესა ავლაბრის სცენის მოყვარეებმა გაითამაშეს და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი აღმსრულებელი (მაგ. ჯანოევა, რევაზოვი და მირველოვი) [illegible] განმასახიერებლად ითვლებიან დღევანდლამდე.

ჩვენმა არტისტებმა ამ ბოლო დროს გაბედეს ამ ოპერეტის შესრულება, მანამდე კი როგორღაც ეთაკილებოდათ აზიურ ხალათებში მღერა-თამაში.

პირველად ამ ორი კვირის წინად ითამაშეს სახელმწიფო თეატრში. და ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო ასკარას როლის აღმსრულებელ ა. იმედაშვილზე: პირველ წარმოდგენაზე მსახიობმა ისეთი შეცდომები დაუშვა, რომ ჩვენ ხმა არ ამოვიღეთ, იმ იმედით, რომ მეორე წარმოდგენის დროს იგრძნობდა და გამოასწორებდა, მაგრამ სასტიკად შევცდით. მართალია, ზოგიერთ სიმღერის დროს აღარ ემჩნეოდა პირვანდელი სიმკრთალე, მაგრამ თამაშით კი სწორედ ისევ ითამაშა, როგორც სახაზინო თეატრში.

იმედაშვილი კარგი მსახიობია,—ამ სიტყვის „კარგი“ მნიშვნელობით,—და მე მიკვირს როგორ ვერ შეიგნო რომ ასკარა სპარსელია და არა—ყარაჩოღელი.

საზოგადოდ კი სპარსელი კეთილშობილია ბუნებით, მათი სიყვარული თუ სიძულვილი, ერთი მეორეს ჯენტლმენური თავაზიანობით უთმობს ადგილს და მე ძალიან გამიკვირდა, როცა იმედაშვილი სცენიდან ამბობდა: „პირ ძაღლი ვიყო თუ ეს არ შევირთო“. ან „უჰჰჰ, რა ლამაზია და!“ და სხვა ყარაჩოღლური გამოთქმები.

იმედაშვილი ასკარას კი არ თამაშობდა იგი გიჟუა იყო.—პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავის“ მოქეიფე ყმაწვილი, იმის გამოკლებით რომ წელზე გოზაკებიანი ქამარი არ ერტყა და ხელში კიდევ სალვინე არ ეჭირა თაფლის სანთლებით მოლაპლაპე. ისე კი ნამდვილი გიჟუა იყო ცაგარლის „გიჟუა“,—არც მეტი, არც ნაკლები.

და მე ვწუხვარ, რომ იმედაშვილმა ამ ქვეყანმა მსახიობმა, ასე ზერელად მოჰკიდა ხელი ამ როლს და არამც თუ გადაჭარბა, პირიქით სრულიად ჩამორჩა კიდეც თავის „ავლაბრულ“ თამაშით ავლაბრელ სცენის მოყვარე ჯანოევს.

მთლად გაფერმკრთალდა აგრეთვე მეორე მოქმედების მშვენიერი სიმღერა „მოდი.. მოდი...“, რომლის სიმღერის დროსაც არ იყო არავითარი გრძნობა, არავითარი ხმის „სირბილე“ და ლირიკულ სიტყვათა [illegible].

ჩვენ გვეგონა იმედაშვილი როდესაც იგი „ოტელოს“ ან „ოიდიპოს მეფეს“ თამაშობს, მაგრამ დამდგმელის პატივცემულმა მსახიობმა, რომ ის „ასკარას“ როლში სრულიად შეუფერებელი იყო, და ჩვენ ხოლოდ ისღა გვრჩება, რომ სინანულით აღვნიშნოთ ეს შთაბეჭდილება.

მეორე პასუხსაგები როლი ჰქონდა ტასოს აბაშიძეს („ასია“) მაგრამ ვისაც არ უნახავს ტასო სცენაზე ის ჩემის ქებათა ქებით ვერ წარმოიდგენს.

ტასო მხოლოდ სცენაზე უნდა ნახოს მსურველმა.

მაგრამ მე ხოლოდ ორ ნაკლს ვუჩვენებ საყვარელ მსახიობს რომლის გამოსწორებაც არც ისეთი ძნელია.

პირველი: ცეკვა არ იყო ნამდვილი ცეკვა. მართალია მისი ცეკვა წარმტაცი იყო ხალხისთვის, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ამ ცეკვაში სხვა ყოველგვარ ცეკვის ძაფი იყო ჩაქსოვილი, გარდა სპარსული ცნობილ ცეკვისა.

მეორე შენიშვნა: სპარსული მუსიკა თავის ერთფეროვან ფარდებით მოსაწყენია ბოლოს და ბოლოს, და მეორედ გამოძახების დროს, რომ ისევ თავიდან არ დაეწყო ცეკვა-სიმღერა უფრო მეტს მიიღებდა მსახიობი.

გულჩორა (მ. გიგოშვილისა) ვერ იყო კარგად ჩაცმული.

ასია—აჯახის სტუმარი—უფრო ბუზმენტოვანი ლილებით იყო მორთულ-მოჩვენილი, ვიდრე აჯახის ერთად ერთი ქალი—გულჩორა. შემდეგისთვის ან გულჩორა უნდა იყოს ძვირფასად ჩაცმული, ან ასიამ უნდა შეამციროს თავისი სინარნარე.

გულჩორას როლს ასრულებს ცაცა ამირეჯიბის ასული, მისი ხმა და გარეგნობა იმდენს გვაძლევს, რომ შემდეგში ნამდვილ გულჩორას ვხილავთ.

[illegible] სრულიად არ შეეფერებოდა მსახური „ველი!“ თავის ულაზათო თამაში მან, ალბად, გრიმის საშვალებით სურდა აენაზღაურებინა, მაგრამ იგი თავის აზიურ გრიმით როგორც ჩემს გვერდით ერთმა შენიშნა —[illegible] მწყემსს უფრო ჰგავდა ვიდრე [illegible] ვალის. ამის შემდეგ სრულიად გასაკვირველი იყო [illegible] „ჯანი, მანი“ „[illegible]“ და [illegible] „[illegible]“ (ჯეირანი)

[illegible] (ხალა—[illegible]) იყო მაგრამ ცოტა მეტი „[illegible]“ იყო [illegible], ხალა კი არც ისეთი ზნიერია.

ნ. ჯავახიშვილი თავის ქერქში გრძნობდა თავს, მხოლოდ ზედმეტი „რაღაც-რაღაცეები“ უშლიდა ხელს.

ვასო აბაშიძე? რა კარგი იყო ვასო მამის როლში! თუ გინდა მარტო კრიალოსანი აიღეთ რომელიც ხანჯალზე ჰქონდა ჩამოკოწიაებული. პირველად სახელმწიფო თეატრში კი უგულოდ იყო, მეორედ კი მთლად მოხიბლა ხალხი. რა დიდებული იყო მისი მიმიკა როცა იგი უმღეროდა ხალას: „ცხენი მყავდა გავაჭენე“ და სხ...

ნ. ჩაგუნავას ცოტა ხინჯი ჰქონდა ხმაში, მისი ცეკვა კი სწორი იყო ზედ მიწვენიო. მესამე წარმოდგენისთვის, რომ ზოგიერთმა მსახიობმა მისგან შეისწავლოს ცეკვა არ იქნება საძრახისი.

რაც შეეხება თარგმანს—პროზა მოგვწონს: შიგ ქალაქური კილო დაცულია, მაგრამ ლექსები კი—ღმერთმა შეინახოს; ლამაზად გათლილ ლექსს კი დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერისთვის.

თავიდან მეხამე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი [illegible] [illegible] 1030

ქ. ქაშაგამში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, [illegible] 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
თიქანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხახის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სამკურნალოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—27.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 6—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. ავახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1016

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14